# სარბიელი

სპორტული გაზეთი | შაბათი 30 ივნისი 2001 №121 (1394) | ფასი 50 თეთრი


# ვის აკურთხებს აბატი დეშანი?

## კარნევალიმ ტრუა ნახა, კობიაშვილი დაკარგა

ინტერტოტოს თასი 2001. მეორე შესარჩევი ეტაპი. პირველი მატჩი

**estac ტრუა — ვიტ ჯორჯია**

ოსერი. „აბატ დეშანი". ტევადობა 21 000. 30 ივნისი. 23 საათი

დღეს ფრანგული „ტრუა" მეზობელ ქალაქ ოსერის „აბატ დეშანზე" ჩვენებურ „ვიტ ჯორჯიას" ინტერტოტოს თასის მეორე შესარჩევი ეტაპის პირველ მატჩში მასპინძლობს.

ათი დღის წინ არდადეგებმოლეული ფრანგები დღეს ახალი სეზონის პირველ ოფიციალურ შეხვედრას გამართავენ.

„ვიტ ჯორჯიასთვის" კი, ფაქტობრივად, წინა სეზონი არც დასრულებულა: ინტერტოტოს პირველ შესარჩევ წრეში ვიტელებმა ავსტრიული „რიდი" კი ჩამოიცილეს გზიდან, მაგრამ ახლა ოსერში ელით ძალიან ძნელი თამაში.

თბილისელები გუშინ დილით ფრანგულ ქალაქ ავალონიდან ტონერეში გადაბარგდნენ. საღამოს „აბატ დეშანზეც" ივარჯიშეს ერთი საათი.

მანამდე ქართველთა იტალიელი მწვრთნელი ჯანი კარნევალი და კლუბის წარმომადგენლები „ტრუას" წვრთნასაც დაესწრნენ.

„ვიტ ჯორჯია" დღეს ვერ ათამაშებს ავსტრიულ მატჩში გაძევებულ ალექსანდრე გოგობერიშვილს, კლუბის პრეზიდენტ გურამ რუხაძის თქმით კი, ალბათ, ვერც გრიშკორხენშივე ტრავმამიღებულ თენგიზ კობიაშვილს დაიხმარს. ორივეს ერთად არყოფნა სერიოზული დანაკლისია ვეტერანთათვის. თუმც „ვიტ ჯორჯია" ბოლო წუთამდე ბრძოლას გვპირდება...

აქვე ისიც გავიხსენოთ, რომ დღევანდელი მატჩი ინტერტოტოზე პირველი ფრანგულ-ქართული დუელი არ არის. 1996 წელს საფრანგეთის „გინგამი" ფოთის „კოლხეთთან" ერთად მოხვდა ერთწრიან შესარჩევ ჯგუფში და საქართველოდან 3:1 გამარჯვებული გაბრუნდა.




ავსტრიულ „რიდთან" გამტანი ლევან მელქაძე (შუაში) დღეს „ტრუას" კარის დალაშქვრას შეეცდება


ბოქსლალის ქალაქი

**ლევან ცაგაძე**

# ეს ლეონსიოა!



ამას აფიშირება არ სჭირდება


# მისეზის ნობელიანტი

საჩოგბურთო მონოდებაში ნობელის პრემიას რომ იძლეოდნენ, ხორვატი გორან ივანიშევიჩი მუდმივი ლაურეატი იქნებოდა. 29 წლის ვეტერანს აგერ უკვე მეორე წელია, პირველ წრეში წაგებათა გარდა თავი არაფრით გამოუჩენია, მაგრამ წლევანდელ უიმბლდონზე ძველი დროება გაიხსენა, „ოლ ინგლენდ კლაბის" თავზე მოდარაჯე ღრუბლებს ეისების წვიმით გამოეხმაურა და ამომავალი ვარსკვლავი, ამერიკელი ენდი როდიკი ქოლგის საძებნად, ძალიან შორს, შინ, ფლორიდაში გაგზავნა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი



ენდი როდიკის დამმარცხებელმა გორან ივანიშევიჩმა სიხარულით სამოსი შემოიძარცვა



დავით მუჯირმა შესაძლოა ავსტრიაში დღესვე ითამაშოს

# დავით მუჯირის ხუთწლიანი შტურმი

## ავსტრიაში ორი ვასტიჩი იქნება, ამათგან ერთი ქართველი

*— მე განვიხილავ ყველა წინადადებას, რომელსაც შემომთავაზებენ. ჯერჯერობით კონკრეტული არაფერია. ოჯახს მონატრებული უბრალოდ, ვისვენებ. მერე ტირასპოლში ჩავალ, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპისთვის „შერიფთან“ ერთად მოვემზადები. შემდეგ ვნახოთ...“ ათიოდ დღის წინ რედაქციაში ნასტუმრევმა დავით მუჯიმა ეს სიტყვები გვითხრა და ჩვენი თვალხედვიდანაც გაქრა.*

*გუშინ დილით კი უკან დარჩა „შერიფიც“ და მთელი პოსტსაბჭოური სივრცეც. საქართველოსა და მოლდოვის ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი დავით მუჯირი გაევროპელდა, იგი ავსტრიული „შტურმის“ მოთამაშე გახდა.*

*დათოს, თბილისში რომ ვერ ვპოულობდით, შუაგულ ევროპაში მივაკვლიეთ. მაშ ასე, ავსტრია, ქალაქი გრაცი და სასტუმრო „პარადიზი“. „სარბიელი“ შტურმელ მუჯირს პირველ ინტერვიუს სთხოვს.*

**— ამას წინათ გვითხარით „შერიფთან“ ერთად ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო მატჩისთვის უნდა მოვემზადოო, ავსტრიაში როგორ აღმოჩნდი?**

— ჩემი მომავალი კარიერის შესახებ რამდენიმე წინადადება მქონდა. მათ შორის „შტურმის“ ვარიანტიც იყო, თუმც გამორიცხული არ ყოფილა, ისევ მოლდოვაში დავრჩენილიყავი. ამიტომ მოვერიდე წინასწარ რაიმეს თქმას. დღეს კი რაღაა დასამალი, „შტურმთან“ ხუთწლიან კონტრაქტს მოვაწერე ხელი, ავსტრიელებსა და „შერიფს“ შორის ყველაფერი გარკვეულია.

**— კლუბმა დახვედრა როგორი მოგიწყო?**

— ნორმალურად მიმიღეს. ერთ კვირაზე მეტია, აქ ვარ. გუნდთან ერთად რამდენჯერმე ვივარჯიშე. მწვრთნელ ივიცა ოსიმთან ყოველდღე ვსაუბრობ. კლუბის პრეზიდენტმა კი სპორტულ ჟურნალისტებს განუცხადა, ახალი ივიცა ვასტიჩი (ავსტრიის ერთ-ერთი საუკეთესო მოთამაშეა) ჩამოვიყვანეთ საქართველოდანო.

გულშემატკივრებთან ოფიციალური შეხვედრა არ მოწყობილა, მაგრამ 23-ნომრიანი მაისურა უკვე გადმომცეს.

**— ოფიციალურ თამაშში როდის უნდა მოირგო ის მაისურა?**

— არ არის გამორიცხული, ხვალვე. „შტურმი“ ინტერტოტოს გათამაშების მეორე შესარჩევ ეტაპზე შვეიცარიულ „ლოზანას“ მასპინძლობს. ივიცა ოსიმს ძალიან უნდა, ხვალვე ვითამაშო. მხოლოდ ერთი პრობლემაა — „შერიფიდან“ განთავისუფლების ფურცელმა დაიგვიანა, დღეს საღამოს გამოაგზავნეს მოლდოველებმა. თუ „შტურმმა“ ჩემი განაცხადში შეყვანა მატჩამდე მოახერხა, მაშინ ავსტრიელთა 23-ნომრიანი ქართველი აუცილებლად ითამაშებს.

**— ხუთი წელიწადი ავსტრიაში ურიგო ნამდვილად არ არის, მაგრამ ბევრიცაა...**

— ნორმალური კონტრაქტი გავაფორმე. ყოველ წელიწადს ახალი კლუბის ძიებაზე ფიქრი არ მომიწევს და მშვიდად ვიქნები, მხოლოდ ფეხბურთსა და ოსტატობის ამაღლებაზე ვიფიქრებ. კონტრაქტის დასრულებამდე ავსტრიაში დარჩენა სულაც არ არის სავალდებულო. მომავალზე ფიქრის დრო მერეც საკმაო მექნება. ვფიქრობ, არაფერში შევმცდარვარ, სწორად მოვიქეცი.

**— სასტუმროში როდემდე უნდა იყო?**

— ერთ საათში გავდივარ, ვარჯიშზე წაუსვლელობა არ იქნება.

**— მაგას არ გეკითხები, საკუთარი ბინა როდის გექნება?**

— ზუსტად არც მე ვიცი. კლუბის წარმომადგენელმა მითხრა, საცხოვრებელი და მანქანა თავად შეარჩიეო. მალე მუშაობის უფლებას მივიღებ, სხვა ფორმალობებსაც მოვაგვარებ და როცა უფრო გავშინაურდები, ოჯახსაც ჩამოვიყვან.

**— დროებით გემშვიდობებით, იმ პირობით, რომ მალე ავსტრიის საუკეთესო ფეხბურთელიც გახდები.**

— რა ვიცი, ვეცდები, დანარჩენი კი თქვენი ავსტრიელი კოლეგების შესაფასებელია. კარაგი იქნება, თუ თბილისიდან ხელს წამახმართ.

**მამუკა ძგანტალიანი**

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
აფრიკა
ლიბია — ანგოლა

# „დიდი ბურთაობა“ დიდი საქმეა. ცხელი დღეების ისტორია

**თქვენს** წინაშეა წიგნი ქართული ფეხბურთის შესახებ. თუმცა ამ წიგნში თითქმის არაფერია მოთხრობილი ასწლოვანი ფეხბურთის ისტორიაზე. საკუთრივ თამაშზე, ძველ და ახალ ვარსკვლავებზე. ეს წიგნი იმას ეხება, თუ როგორ იბადებოდა ხელმეორედ ქართული ფეხბურთი. ფეხბურთის ისტორია ჩვენს ქვეყანაში საუკუნეს სწვდება, მაგრამ ათწლეულების განმავლობაში საქართველო არ წამდგარა მოწინააღმდეგეთა წინაშე ეროვნული ფერით, დროშით, ჰიმნით, ანუ ყოველივე იმით, რასაც ეროვნული ნაკრები ჰქვია. ასეთი რამ გასულ საუკუნეში სულ ორჯერ, სიმბოლურად მოხდა.

დღეს საქართველოს ჰყავს ეროვნული ნაკრები, აქვს საფეხბურთო მეურნეობა, ქართულ ფეხბურთს მისი ფედერაცია მართავს. ის რაც თერთმეტი წლის წინათ მოხდა თბილისის ჭადრაკის სასახლეში, ქართული ფეხბურთის უმნიშვნელოვანესი და გარდამტეხი მოვლენაა. დაშლის პირას მისული საბჭოთა კავშირი, აბობოქრებული საქართველო, ეროვნული მოძრაობა... და ფეხბურთი.

ფეხბურთი ყოველთვის იყო ეროვნული სულის ერთ-ერთი გამოხატულება, მით უმეტეს, საბჭოთა კავშირის მსგავს ქვეყანაში. ჩვენ ფეხბურთს ვუკავშირებდით უამრავ განცდას, სიხარულს, ტკივილს, იმედს.

ეროვნული მოძრაობისა და საზოგადოების სურვილი, შექმნილიყო დამოუკიდებელი ფეხბურთის ფედერაცია, გაემართა თავისი საფეხბურთო ცხოვრება, მიეტოვებინა საკავშირო ჩემპიონატი და დალოდებოდა ფიფას აღიარებას, ბევრს რადიკალიზმად მიაჩნდა. ცხარე კამათი და წინააღმდეგობები ამ საკითხის გამო რომ მიმდინარეობდა, დღეს ათასმა სხვა მოვლენამ გადაფარა. იძულებითი იზოლაცია, გაურკვეველი პერსპექტივა, ლოდინი იმისა, თუ როდის მოინდომებდა საკავშირო ფედერაცია ქართული ფედერაციის ცნობას, აწყობილი სისტემის რღვევა — აი შიში, სკეპტიკოსებს რომ დაუფლებოდათ მაშინ.

მაგრამ თერთმეტი წლის წინათ სხვა რამემ გაიმარჯვა — აუწერელი მღელვარების, წინააღმდეგობების მიუხედავად, ქართულმა საზოგადოებამ გადაწყვიტა ნაჩვევ ადგილს არ ჩაბღაუჭებოდა და ნაბიჯი გადადგა წინ.

ეს წიგნიც სწორედ ამ ამბავს მოგვითხრობს — დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის დაბადების ისტორიას.

ავტორი თვითმხილველია იმ მღელვარე დღეებისა. ავტორი ცნობილი სპორტული ჟურნალისტია. ის გვიამბობს საქართველოს უახლესი ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ. უახლესი ისტორიის თხრობა კი იშვიათი რამ არის ჩვენში. სხვა რომ არა იყოს რა, ეს წიგნი მხოლოდ ამითაც იქნებოდა საინტერესო. წიგნის გმირთა ბედი ამ ათწლეულში სხვადასხვაგვარად წარიმართა. ეს ამბავი, გუშინდელი დღე, მარად ცოცხალი ისტორიაა და ყველაზე კარგი ალბათ ის არის, რომ ეს ისტორია შემონახულია.

არა აქვს მნიშვნელობა, დაეთანხმები თუ არა ავტორს.

მთავარი ერთია: თქვენს წინაშეა წიგნი ქართული ფეხბურთის ცხელი დღეების შესახებ.

**გიო ახვლედიანი**
**„სარბიელის“ მესვეტე**



ელგუჯა ბერიშვილი




ყოველკვირეული
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!
ბინაზე მიტანით 1 თვით, 2 თვით,
3 თვით, 6 თვით, 12 თვით.
98-89-09, 26-10-80, (899) 55-30-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“



ზაურ სვანაძე

# რკინიგზის 23 რჩეული

## ბულგარეთში უკორლალიძეოდ და სვანაძესთან ერთად

**ხვალ** დილით ქვეყნის ვიცე-ჩემპიონი და თასის ფინალისტი თბილისური „ლოკომოტივი" ბულგარეთში მიემგზავრება. რკინიგზელები პატარა ქალაქ ტრიავნაში დაბინავდებიან და 19 ივნისამდე იქ გაივლიან შეკრებას.

გუნდს ვერ მიჰყვება მეკარეების მწვრთნელი სერგო კოტრიკაძე — ქართული ფეხბურთის ვეტერანს მეუღლე გარდაეცვალა და „ლოკომოტივს" თბილისში დაბრუნების შემდეგღა შეუერთდებაო, გვითხრეს გუშინ კლუბის თავკაცებმა.

„ლოკომოტივის" „გენშტაბში" ერთი, მეტად მოულოდნელი ცვლილებაცაა. გუნდიდან წასულა (თუ გაუშვიათ) კახა ცხადაძის თანაშემწე ოთარ კორლალიძე. არადა, ცოტა უცნაურიც კია, ორიოდ დღის წინ კორლალიძე რკინიგზელთა ვარჯიშზე თავის მოვალეობას ასრულებდა.

ცხადაძე თანაშემწის გარეშე დიდხანს არ დარჩენილა. კლუბის ხელმძღვანელობამ ეს პოსტი თბილისის „დინამოს" ყოფილ ნახევარმცველს, ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებში კობა ჟორჟიკაშვილის დამხმარე ზაურ სვანაძეს ჩააბარა.

„ლოკომოტივში" დანიშვნისთანავე ცხადაძის პირველი მოთხოვნა ასეთი იყო — [illegible] კლუბის ხელმძღვანელებს გუნდის ძირითადი ბირთვი შეუნარჩუნებინოთ. მთავარმა მწვრთნელმა ჩანაფიქრი აისრულა და დღეს მის განკარგულებაში ყველა ყოფილი თანაგუნდელია. მათ დამატებული სამი მერანელი და ფარმ-კლუბის 6 მოთამაშე, „ლოკომოტივიც" საბოლოოდ დაკომპლექტდა.

კახა ცხადაძეს ბულგარეთში 23 ფეხბურთელი მიჰყავს. ამათგან საუკეთესოებს კი თბილისში დაბრუნების შემდეგ აარჩევს.

*მეკარეები: გიორგი ლომაია, მანუჩარ ივარდავა, ნოდარ კალაძე;*

*მცველები: აქსენტი გილაური, როინ ონიანი, გიორგი ბალაშვილი, ზაზა ლაცაბიძე, ლაშა სალუქვაძე, დავით ბაქრაძე, გიორგი დავითნიძე, გიორგი გოგნაძე;*

*ნახევარმცველები: სოსო დევიძე, დავით ჭიჭვეიშვილი, დავით დათვაძე, გიორგი ანჩაბაძე, გიორგი კობერიძე, ლევან ხურცილავა, დავით მორჩილაძე, ირაკლი სირბილაძე;*

*თავდამსხმელები: დავით გოდერძიშვილი, კახა გოგიჩაიშვილი, ალეკო კაიდარაშვილი, გიორგი ქადაგიძე;*

საბულგარეთო სიაში ვერ მოხვდა რკინიგზელი დიმიტრი პარამონოვი, ასევე „ლოკომოტივში" გასინჯვაზე მყოფი ბათუმელები — გელა ქორიძე და ზვიად პაპიძე, ბოლნისური „სიონისთვის" უარის მთქმელები — სულიკო დავითაშვილი და კოტე მეტრეველი. ბულგარეთში ვერ მიემგზავრება ახალგაზრდა ფორვარდი იოსებ მანჭარაული. გუნდის თავკაცთა თქმით, მას რაღაც პრობლემები შეექმნა და „ლოკომოტივს" ბულგარეთიდან დაბრუნების შემდეგ შეუერთდება.

ტრიავნაში მიდის მერანელი დევიძე, მაგრამ ავჭალური კლუბის თავკაცობას სოსო ჯერ გუნდიდან არ გაუთავისუფლებია და არ გაგვიკვირდება ამ ამბავს ორ თბილისურ კლუბს შორის მორიგი უთანხმოება მოჰყვეს.

**მამუკა ძვანტალიანი**



კახა ცხადაძეს ოთარ კორლალიძე ველარ დაეხმარება



გოგი [illegible]

სვეტი

# ზომიერი სიზმრები

სიზმარი მრავალნაირი არსებობს. ძირითადად, დაუჯერებელი.

საფეხბურთო სიზმარი ხომ საერთოდ. მაგრამ სიზმარი ზოგჯერ ისე ახდება, რომ თქვენი მოწონებული. მაგალითად, ერთ ჩემს მეგობარს დაესიზმრა, რომ დანიამ ურუგვაის 7:1 მოუგო. ისე აგიხდათ ყოველივე კარგი, მხოლოდ ერთ გოლში შეცდა. ეს ამბავი ზუსტად თხუთმეტი წლის და ოცი დღის წინათ მოხდა.

მაშინ ტოტალიზატორები არ არსებობდა, იყო ხელის მაზები და ისიც დამალულად, რადგან საბჭოთა კავშირში აზარტული თამაშობანი აკრძალული იყო.

ახლა, საქართველოში ამგვარი რამეები აკრძალული არ არის და ტოტალიზატორიც ბევრია. მაგრამ რომ დაფიქრდები, რა უნდა დაგესიზმროს ისეთი, დანია — ურუგვაის რომ ჰგავდეს? რა თქმა უნდა, საერთაშორისო ფეხბურთს არ ვგულისხმობ, რა გასაკვირია და საფეხბურთო სიზმრებმა ეროვნული ხასიათი მიიღო.

სიზმარამ რომ მოჰყვა: აქეთ მზე, იქით მთვარეო, შუაში კიდევ ვარსკვლავებიო, ამის ახდენა ჩვენი ფეხბურთისთვის წარმოუდგენელი ამბავია. ჩვენი ბედი რა ვთქვა, რომ სიზმარშიც მოზომვაა საჭირო. თორემ იყავი და გესიზმრებოდეს, ვთქვათ, სტუმრად ფრე იტალიასთან, რა ხეირი?

მე, მაგალითად, დამესიზმრა ზომიერი რამ: რომ ჩვენს ნაკრებს ეცვა შინდისფერი მაისურები, შავი ტრუსები და თეთრი გეტრები. ანუ დამესიზმრა ის, რაც ადრე იყო და ლამაზი იყო, გამოხატავდა იმას, რასაც სანაკრებო სამოსს ვუწოდებთ. თუმცა, ეს ზომიერი და უპრეტენზიო სიზმარიც კი ძნელი ასახდენია: ჩვენს ნაკრებს იმგვარად შეზავებული ფორმა აცვია, საერთოდაც ძნელი წარმოსადგენია, რომ შენს წინაშე ნაკრებია და არა რომელიმე ალბანური კლუბი. ზოგჯერ, რაც არსებობს, ისიც სიზმარად გადაიქცევა ხოლმე.

ახლა ვაპირებ, რომ დამესიზმროს ჩვენი ნაკრების მწვრთნელი. ეს ტრივიალური, აუხდენელი სიზმარია, მაგრამ თუ ზომიერებას დავიცავთ, რაიმე შეიძლება გამოვადნოთ. როჟე ლემერი თუ დაგესიზმრება, საკუთარ თავს უნდა დასცინო. თუ პირიქით დაგესიზმრება ვინმე, იმ ძველი გზისა, უნდა დაჯდე და იტირო.

ზომიერ სიზმარს არაფერი სჯობია. ეგებ ახდეს კიდეც. მეორე მხრივ, დანია — ურუგვაი რომელი ზომიერი სიზმარია? მაგრამ, როგორც ღგინდება, არსებობს დასავლური სიზმარი და ჩვენებური სიზმარი.

ჩვენებურში რას გავქაჩავთ?

ვთქვათ დაგვესიზმრა_ ფოლკერ ფინკე, კრისტოფ დაუმი, ან_

გავქაჩავთ, რომ აგვიხდეს?

მდააა_

პირდაპირ, რა დაგვესიზმროს, აღარ ვიცით.

მგონი, უკეთესია, რომ აღარაფერი დაგვესიზმროს. ზომიერი სიზმრის საშუალებაც არ არის. ვაჰ, სადა ვართ?

# მურმან გოგოლაძე



კაცი, რომელიც მთელი ცხოვრება ერთ საქმეს ემსახურებოდა, უფრო კი, მთელი ცხოვრება ერთ საქმეს შესწირა, ყველგან და ყოველთვის ფასობს...

დღეს რუსთავი უკანასკნელ გზაზე მურმან გოგოლაძეს გააცილებს. კაცს რომლის სიცოცხლე ფეხბურთი იყო, რომელმაც ფეხბურთი მრავალთა ცხოვრების გზად აქცია. მისი უამრავი ნამონაფართაგან საუკეთესოთ საქართველოს ნაკრებში ადრეც უთამაშიათ და ახლაც თამაშობენ, არაერთია ლეგიონერიც.

მურმან გოგოლაძეს ბევრისგან ისიც გამოარჩევდა, რომ უპრეტენზიოდ, უხმაუროდ აკეთებდა თავის საქმეს, ყოველთვის ჩრდილში იდგა, აღზრდილთაგან კი მუდამ დიდ სიყვარულს და პატივისცემას გრძნობდა. ეს იყო მისთვის მთავარი, ეს იყო მისი სიმდიდრე, რომელსაც არაფერში გაცვლიდა.

ბოლო წლებში „ხალიბს" წვრთნიდა. უსახსრობით და უმოედნობით გატანჯული გუნდი კარდაკარ დაჰყავდა სათამაშოდ და ჩემპიონატი მაინც ჩაამთავრებინა, რადგან სურდა, რომ რუსთავს, „გორდას" მომავალი ჰქონოდა.

იგი მხოლოდ მოზარდებთან მუშაობდა, უფრო „დიდ დონეზე" საქმიანობის შანსი არ მისცემია, მიაჩნდა, რომ თავისი საქმე იპოვა, საქმე, რომელიც უყვარდა. მზამზარეული არაფერი უნდოდა. სამუშაო, რომელსაც სხვები შავს უწოდებენ, მისთვის გულმოდგინედ და ყოველდღიურად საკეთებელი საქმე იყო. სხვანაირად ხომ ის „ფეოლა" არ იქნებოდა, მთელი ქალაქი რომ იცნობდა და აფასებდა.

ღვთის მადლით, მისოცნებას ახდენა უწერია, „ფეოლას" დაწყებულ საქმეს — რუსთავს ბავშვთა საფეხბურთო სკოლა ჰქონოდა, გამგრძელებლები გამოუჩნდნენ.

მურმან გოგოლაძის ნაადრევად წასვლა დიდი ტკივილია, მრავალთა ტკივილი იმ კაცის დაკარგვის გამო, რომელიც მუდამ ემახსოვრებათ.

# რეფორმა საფეხბურთო ჯანდაცვაში

## ნაკრები სოციალურად დაცულია, ბავშვები კი ფულს იხდიან

**რაღაც-რაღაცეები** მართლა კარგი იყო კომუნისტების დროს. თუნდაც ის, ბავშვთა საფეხბურთო სკოლებიდან დაწყებული ყველა საფეხბურთო გუნდი პერიოდულად რომ გადიოდა სამედიცინო შემოწმებას. მაშინ ამას დისპანსერიზაცია ერქვა, სპეციალური დისპანსერებიც არსებობდა და ასეთი მომსახურებაც უფასო იყო. მერე ქვეყანა აირ-დაირია, ბევრ რამესთან ერთად ფეხბურთელთა საყოველთაო დისპანსერიზაციამაც მოგვჭამა ჭირი. მაგრამ ახლა ასეთი სერვიზის ახლებური ვარიანტი გამოჩნდა.

გუშინ სფფ-მ კონტრაქტი გააფორმა ფირმა „ნეკოსთან", რომელიც საქართველოში სპორტული მედიცინის საქმეში თანამედროვე გამოკვლევების მეთოდიკას ნერგავს. ხელშეკრულების თანახმად, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრებს „ნეკო" უფასოდ ჩაუტარებს სრულ გამოკვლევას. ხოლო იმ ფეხბურთელებს, რომლებიც სფფ-ის ეგიდით ჩატარებულ ტურნირებში მონაწილეობენ, ტარიფები დაუწესდათ ასაკის მიხედვით: 12-წლამდელების გამოკვლევა 15 ლარი დაჯდება, 18-წლამდელებისა — 20 ლარი, ხოლო 18 წლის ზემოთ — 50 ლარი.

სფფ-ს კიდევ ერთი ხელშეკრულება გაუფორმებია — მისი პარტნიორი „ჯორჯია ონლაინი" გახდა, რომელიც საინტერნეტო და ელექტრონული ფოსტით უზრუნველყოფას მოემსახურება.

ორივე კონტრაქტს ვადა 2002 წლის 31 დეკემბერს გაუდის ანუ მაშინ, როცა სამი წლის წინ არჩეულ სფფ-ის თავკაცობას და მთლიან შემადგენლობას უფლებამოსილება უმთავრდება.

ბარემ იმასაც გეტყვით, რომ მეცამეტე ეროვნული ჩემპიონატისთვის უმაღლესი, პირველი და რეგიონული ლიგის გუნდების ფედერაციაში შესატანი თანხა იგივე დარჩა, შესაბამისად — 22, 12 და 5 ათასი ლარი.

**დავით თაგართქილაძე**

# ჩაისუნთქეთ დასტვენამდე

## ქართველი მსაჯები ბაკურიანში მიდიან

**საქართველოს** მეთორმეტე ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ქართველმა არბიტრებმა მცირე ხნით შეისვენეს და მომდევნო სეზონისთვის მზადებაც დაიწყეს. აქამდე ისინი ინდივიდუალურად ემზადებოდნენ, დაახლოებით ერთ კვირაში კი შეკრებაზე გადასვლასაც აპირებენ.

„5 ივლისიდან ტრადიციულ წინასასეზონო შეკრებაზე გადავდივართ. მზადებას ბაკურიანში გავივლით, იქ ათ დღეს დავყოფთ. მსაჯები მოემზადებიან, როგორც ფიზიკურად, ისე თეორიულადაც" — გვითხრა სფფ-ის სამსაჯოსაინსპექტორო კომიტეტის წარმომადგენელმა ოთარ გუნთაძემ.

ასე რომ, კლუბებთან ერთად საქართველოს მეცამეტე ჩემპიონატისთვის თემიდელებიც ემზადებიან. თუ როგორ შეხვდებიან ისინი ჩემპიონატს, ამას მომავალი სეზონი გვიჩვენებს.

**კახა ზალამბერიძე**

# ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი

1/8 ფინალი

# ვან გაალი ოქტეტში, კოსტა რიკა — შინ



REUTERS მარ დელ პლატადან

განელი დერეკ ბოატენგი ეკვადორელებს გადაახტა

*ლუის ვან გაალის ოსტატობამ თავისი გაიტანა და ჰოლანდიამ მეოთხედფინალში გააღწია. განამ სულ ცეკვა-თამაშითა და ეგზოტიკური ილეთებით მოუგო ეკვადორს, პარაგვაელებიც დამსახურებულად მოხვდნენ საუკეთესო ოქტეტში, ჩეხებმა კი დაძაბულ ბრძოლაში სძლიეს კოსტა რიკის საკმაოდ კარგ გუნდს და მერვედფინალიდან გამოთიშეს. კვირას ოქტეტი კვარტეტამდე შემცირდება. ვნახოთ, ვინ მოხვდება საუკეთესო ოთხეულში.*

### განა 1:0 ეკვადორი

1:0 მენსა (13)
განა: ბანაშენი, მუნტარი, ქაიენი, ვილარსი, პაპოე, იბრაჰიმი (ოსეი 75), პიმპონგი (ს. ტომპსონი 85), დ. ბოატენგი, ი. ისა (ოვუსუ-ანსა 67), ჯ. მენსა, პანცილი
მწვრთნელი: ემანუელ აფრანი
ეკვადორი: ვიტერი, გუაგუა, გავილანესი, ვარგასი, ქატერილა (იზა 46), კინონესი (ფ. სალასი 72), ინტრიაგო (მეხია 82), კასტილიო, მინა, კოროსო, ბორხა
მწვრთნელი: ფაბიან ბურბანო
გაფრთხილება: კასტილიო, ისა, პანცილი, ინტრიაგო, ვილარსი, ქაიენი
მსაჯი: ორჰან ერდემირი (თურქეთი)
10 000 მაყურებელი

**ამ წყვილში** უდავო ფავორიტები აფრიკელები იყვნენ. მათ შესანიშნავად ითამაშეს ჯგუფურ ეტაპზე და დამსახურებულად გავიდნენ მეოთხედფინალში.

შეხვედრა განელთა შეტევებით დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურობდა პიმპონგი, რომელიც რამდენჯერმე პირისპირ დარჩა მეკარესთან. გოლი კი მეცამეტე წუთზე გავიდა.

არც მეორე ტაიმში შეცვლილა სურათი. აღნიშნავენ, რომ ამ თამაშში ეკვადორის გუნდს ფეხბურთის მსგავსი არაფერი უჩვენებია და განელთა შემდგომ ეტაპზე გასვლა სავსებით კანონზომიერია.

### კოსტა რიკა 1:2 ჩეხეთი

0:1 მუსილი (21), 1:1 სკოტი (24), 1:2 იუნი (71)
კოსტა რიკა: დორმუნდი, მ. როდრიგესი, კ. მონტერო, მირიე (არაია მორალესი 80), ფაიარდო (სალასარი 74), სკოტი, ლოპესი, გრანადოსი, პარქსი, ვალეხოსი (მოსი 74), კ. ერნანდესი
მწვრთნელი: კარლოს უოტსონ სიმესი
ჩეხეთი: ცეხი, პუფშმანი, კრაბი, ლესტინა (გლოსი 39), სირლი, მაჩეკი (სედივეცი 66), ჟივნი, პოლაკი, მუსილი, იუნი (პესირი 90), ზესტა
მწვრთნელი: დუშან ფიცელი
გაფრთხილება: ლოპესი, მუსილი, გრანადოსი, კრაბი, ჟივნი
მსაჯი: ჰაილემელაკ ტესემა (ეთიოპია)
8 000 მაყურებელი

**კოსტა რიკასა** და ჩეხეთის მატჩი უდიდეს ინტერესს იწვევდა, რადგანაც ამერიკელებმა ჯგუფურ ეტაპზე სამივე მატჩი მოიგეს და გულშემატკივართა და სპეციალისტთა სიმპათიებიც დაიმსახურეს. არ გამორიცხავდნენ, რომ სწორედ კოსტა რიკა იქნებოდა არგენტინის ჩემპიონატის აღმოჩენა.

მეოთხედფინალში ჩეხეთის გასვლას ბევრი არ ვარაუდობდა, რადგანაც ბოლო ტურში იაპონელებთან მარცხი ერთგვარად სკეპტიკურად განაწყობდა გულშემატკივარს. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ის წაგებული მატჩი ფაქტობრივად არაფერს წყვეტდა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, ჩეხებმა ძალები მომავალი მატჩისთვის შეინახეს.

მეოთხედფინალურმა მატჩმა გვიჩვენა, რომ ჩემპიონატში სწორედ ის გუნდი აღწევს დასახულ მიზანს, რომელიც ნაკლებადაა გადაღლილი.

ჩეხებს სტანდარტული მდგომარეობები საკმაოდ კარგად დაუმუშავებიათ. პირველი გოლიც სწორედ ამერიკელთა კართან დანიშნულ კუთხურს მოჰყვა.

კოსტარიკელები გაშვებული გოლის შემდეგ გააქტიურდნენ. განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ გრანადოსი და პარქსი, რომელთა მეშვეობითაც ერიკ სკოტმა ულამაზესი დარტყმით გაათანაბრა ანგარიში.

მეორე ტაიმში აშკარად იჩინა თავი კოსტარიკელთა გადაღლილობამ. ისინი ფაქტობრივად მთელი გუნდით ჩადგნენ დაცვაში. ევროპელთა მუდმივ შეტევებს მხოლოდ ერთი გოლი მოჰყვა, რომელიც მეოთხედფინალში გასასვლელად სრულიად საკმარისი აღმოჩნდა.

### ანგოლა 0:2 ჰოლანდია

0:1 მუსტაფა (62), 0:2 პუნტელაარი (86)
ანგოლა: ლამა, მანუელი (რიკინიო 76), ნელსინიო, კიკასი, დედასი, ჩინიო (ფოფანა 64), რასკასი (ლოლო 54), მანტორაში, ჟილბერტო, კასტიგო, მატეუში
მწვრთნელი: ლუის დე ოლივერა
ჰოლანდია: კუტინიო, პიტინგა, ლევაკაბესი, მენდესი, მუსტაფა, ვან დერ ვაარტი, პუნტელაარი, პერსი, სპროკელი, კოლკი (რობენი 46), შუტი
მწვრთნელი: ლუის ვან გაალი
გაფრთხილება: პერსი, მანუელი, მენდესი, შუტი, დედასი
მსაჯი: შამსულ მაიდინი (სინგაპური)
22 000 მაყურებელი

**პირველ** ტურში ჰოლანდიელთა სენსაციური მარცხის შემდეგ, ბევრმა ევროპელთა სახელოვანი გუნდი განწირულად მოიაზრებდა. ისიც უნდა ითქვას, რომ ანგოლის ჭაბუკთა ნაკრები ბევრი ვერაფრით გამოირჩეოდა ჯგუფურ ეტაპზე, მერვედფინალში კი მან იაპონიის გუნდთან აღებული სამი ქულის წყალობით გააღწია. აქ კი ყველაფერი ადვილად პროგნოზირებადი აღმოჩნდა, მით უმეტეს, რომ ჰოლანდიელთ ისეთი სახელოვანი მწვრთნელი ჰყავთ, როგორიც ლუის ვან გაალია.

უგოლოდ დასრულებული პირველი ტაიმის შემდეგ, ჯერ ჰოლანდიელები გააქტიურდნენ, მერე კი, როცა ერთი ბურთით დაწინაურდნენ, მთელი გუნდი დაცვაში ჩადგა. ანგოლელებმა რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნეს, თუმც ერთიც ვერ გამოიყენეს და თამაშის ბოლოს მეორე გოლიც მიიღეს საკუთარ კარში, რამაც მათ იმედებს საბოლოოდ დაუსვა წერტილი.



REUTERS როსარიოდან

ანგოლელი ჩინიო (მარცხნივ) და ჰოლანდიელი სანტი კოლკი

### უკრაინა 1:2 პარაგვაი

0:1 ბენიტესი (19), 0:2 გონსალესი (43), 1:2 ბელიკი (90)
უკრაინა: რუდენკო, პასიჩნიჩენკო, შერშუნი, სიმონენკო, კომარნიცკი, ხისტიევი, დანილოვსკი (სმალკო 70), ნაკონეჩნი, გაი (სტოიანი 58), ბელიკი, ვალეევი (გერასიმენკო 57)
მწვრთნელი: ანატოლი კროშჩენკო
პარაგვაი: ბარეტო, დევაკა, მარტინესი, ბენიტესი, ფრეტესი, და სილვა (ვილალბა 89), ხ. გონსალესი (დატეჩა 78), სალკედო, ფ. ხიმენესი (ქატიგარიბია 66), ბარეირო, დელ პუერტო ბენიტესი
მწვრთნელი: კრისტობალ ვილფრედო მალდონადო
გაფრთხილება: დელ პუერტო ბენიტესი, ბენიტესი, მარტინესი, შერშუნი
მსაჯი: ხოსე პინედა ფერნანდესი (ჰონდურასი)
9 000 მაყურებელი

**მატჩის** შედეგზე უთუოდ იქონია გავლენა იმან, რომ ჩემპიონატის ჯგუფური ეტაპი პარაგვაელებმა საკმაოდ მიზანმიმართულად დაიწყეს. მათ ნელ-ნელა მოუმატეს თამაშს, პირველი მარცხის შემდეგ ფრედ ითამაშეს საფრანგეთთან, ბოლო მატჩში დაამარცხეს ირანი და საკმაოდ მომძლავრდნენ მეოთხედფინალისთვის.

მაშინ, როცა უკრაინელებმა პირიქით — პირველივე მატჩში იზეიმეს გამარჯვება, ხოლო შემდგომ თანდათან უკლეს თამაშს, რაც მერვედფინალის შედეგზეც აისახა.

პარაგვაელებმა უკრაინელებთან პირველივე ტაიმში მოათავეს საქმე — ორი გოლით დაწინაურდნენ და მშვიდად მიიყვანეს მატჩი დასასრულამდე. ყოფილმა საბჭოელებმა მხოლოდ კარის გაჯანსაღებაზე შესძლეს — შეხვედრის ბოლო წუთზე ერთი, მაგრამ საოცარი გოლი გაიტანეს და ჩემპიონატიდან აეროპორტის სალაროების რიგში გადაინაცვლეს.

**მამუკა ნაცვალაძე**

**1/4 ფინალი.** 1 ივლისი

არგენტინა — საფრანგეთი
განა — ბრაზილია
ჩეხეთი — პარაგვაი
ჰოლანდია — ეგვიპტე

# ევროპის ქალთა ჩემპიონატი

# დანიელებმა ორჯერ ისიამოვნეს



REUTERS როიტლინგენიდან

თამაში ქალური, უხეშობა კაცური: ნორვეგიელი მონიკა კნუდსენი (№8)

**B ჯგუფი.** II ტური

**ნორვეგია 1:1 იტალია**
**საფრანგეთი 3:4 დანია**

**მეორე** ტურიც გასრულდა და ცხადი, მხოლოდ ორი რამაა: პირველი ჯგუფიდან გერმანიამ უკვე გააღწია ნახევარფინალში, ხოლო მეორეში, ფრანგი ქალები ბოლო ადგილისთვის გაიწირნენ.

პირველ ტურში ფრანგებმა ნორვეგიასთან სამი გოლი გაუშვეს და დამარცხდნენ, ახლა კი თავად გაიტანეს ამდენი, თუმცა დანიელებთან გასამკლავებლად ეს ცოტა აღმოჩნდა.

დაძაბული მატჩი გამოდგა — დანია 2:0 იგებდა, ფრანგებმა გაათანაბრეს, დანია 3:2 იგებდა და ფრანგებმა ისევ გაათანაბრეს. და როცა თითქოს ყველაფერი გადაწყვეტილი იყო, დანიამ მეოთხე შეაგდო — ფრანგებმა სულ რაღაც ერთი წუთი ვერ გაძლეს.

ჯგუფის უდავო ფავორიტთა ბრძოლა კი ფრედ დასრულდა, რითაც ვფიქრობთ, ისევ დანია დარჩა კმაყოფილი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნორვეგია | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 4 |
| იტალია | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| დანია | 2 | 1 | 0 | 1 | 5:5 | 3 |
| საფრანგეთი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:7 | 0 |

*III ტური, 1 ივლისი: დანია — ნორვეგია*
*საფრანგეთი — იტალია*

**მერდეკას თასი**

1/2 ფინალი

**უზბეკეთი 2:0 ბაჰრეინი**
1:0, 2:0 სეიტკამალოვი (89, 90)

**ბოსნია 2:0 მალაიზია (U-23)**
1:0 პურიჩი (12), 2:0 კულენოვიჩი (19)

დღეს ფინალში უზბეკეთი და ბოსნია შეხვდებიან ერთმანეთს

იყიდება!
„ფორდი" ტაურუსი
(1991 წლის გამოშვება)
☎ 38 45 81

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

24 საათის ინფორმაცია განმავლობაში
ფეხბურთი,
NHL, NBA
☎ 8 22 009 000,
8 22 009 001
(1წთ / 50 თეთრი)

# ინძაგის ჩემზე მეტი?! უკვირს შევჩენკოს



ანდრეი შევჩენკო ერთ-ორ კაპიკს პოდიუმზე ჯორჯო არმანის კოლექციის წარდგენით შოულობს

REUTERS მილანიდან

**„მილანის“** თავდამსხმელი ანდრეი შევჩენკო ამ დღეებში კლუბის პრეზიდენტ სილვიო ბერლუსკონისთან აპირებს შეხვედრას და თუ მისგან სასურველი პასუხი ვერ მიიღო, არ არის გამორიცხული, „სან სირო“ დატოვოს და კარიერა რომელიმე სხვა კლუბში გააგრძელოს. ამის თაობაზე მილანში უკვე ლაპარაკობენ.

ამ საგანგებო შეხვედრის საბაბი „მილანის“ მიერ რამდენიმე დღის წინ იუვენტუსელი ფილიპო ინძაგის შეძენა გახლავთ. ახალწვეულს შევჩენკოზე გაცილებით დიდი ხელფასი დაუნიშნეს, რაც უკრაინელის უკმაყოფილებას იწვევს.

კიდევ ერთი ფაქტორი — „მილანმა“ ინძაგის გადაბირებამდე ცოტა ხნით ადრე „ალავესის“ ბომბარდირი ხავი მორენო შეიძინა. ამასთან, გუნდში თამაშობს ახალგაზრდა ჯანი კომანდინი, რომელსაც იტალიაში ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევენ. ასე რომ, მომავალი სეზონიდან ფატიჰ თერიმი, შესაძლოა, სრულიად ახალ შემტევ ტრიოს ენდოს — ინძაგი-კომანდინი-ხავი მორენო. თან „მილანმა“ გამოაცხადა, რომ სეზონის დაწყებამდე რომელიმე ძლიერი გამთამაშებლის ყიდვას აპირებს. შევჩენკოს სანაცვლოდ კი, რომელიც ზედიზედ ორი წელიწადია „მილანის“ საუკეთესო ბომბარდირი ხდება, დიდძალი თანხის მოხვეჭა შეიძლება და ამ ფულით ნებისმიერი მსოფლიო დონის გამთამაშებლის ჩაყვანა „სან სიროზე“.

დაბოლოს, შევჩენკოზე დაგეშილნი მსოფლიოს საუკეთესო კლუბები არიან. ბერლუსკონისა და უკრაინელს შორის მცირედი გაუგებრობაც კი საკმარისია, და მას „მილანში“ ალბათ, ალარავინ გააჩერებს. თუმცა თავად ფორვარდს დიდი იმედი აქვს, რომ მას ხელფასს გაუზრდიან და „მილანში“ დარჩება.

**სუზანა პეტრუჩი მილანიდან**

# ისეთი კაცის გაზრდილია...
## არდილესი ფერგიუსონს ვერონს ურჩევს

**სატრანსფერო** ბაზარზე ხმა დაირხა, რომის „ლაციო“ ხუან სებასტიან ვერონს ჰყიდისო. ამის თქმა და მანჩესტერელთა ყურების ცქვეტა ერთი იყო. „ოლდ ტრეფორდის“ მკვიდრთ ხომ ძალიან დიდი ფული და უფრო დიდი მადა. ამიტომაც „წითელი ეშმაკები“ ვერონის მოჩანგვლისთვის უკვე გახურებულ ვაჭრობაში უმრავლესობის მიერ ფავორიტებად არიან მიჩნეულნი. „მანჩესტერის“ ღირსეული მეტოქეობა, არგენტინელის მსურველთა ვრცელი ნუსხიდან, მხოლოდ ერთი-ორს თუ ძალუძს. სეზონის მიწურულს ხუანისა და მადრიდული „სამეფო კლუბის“ მოლაპარაკებებზე იყო საუბარი. მაგრამ ხმაური მალევე მიწყნარდა და ბურთი, მოედანი და ვერონის შეძენის შანსი მხოლოდ ოლდტრეფორდელებს დარჩათ.

ვერონი დღეს ერთ-ერთი საუკეთესო ნახევარმცველია და ამას მტკიცება, ალბათ, არც სჭირდება. მაგრამ არც „მანჩესტერ იუნაიტედი“ გრძნობს ამ ამპლუის ვარსკვლავთა ნაკლებობას — თუნდაც ხოტორა, ჭირვეული დევიდ ბექემი ავიღოთ. ისიც ძალიან მაგარი ბიჭია. თუმცა შესაძლოა, გუნდის ხელმძღვანელობა სხვანაირად ფიქრობდეს. არ იქნა და არ დამთავრდა ბექემის წუწუნი ფულის გამო. მავანნი ამბობენ, რომ დევიდს მშვენიერი მეუღლე, სპაისყოფილი ვიქტორია ადამსი არ ასვენებს, სხვათა აზრით, ბექემს კაპიტანი როი კინისა შურს, რომელსაც გუნდში ყველაზე მაღალი ჯამაგირი — კვირაში ორმოცდაათი ათასი გირვანქა აქვს. ამ ვარსკვლავებს ხომ ვერაფერს გაუგებს კაცი. ჰოდა, ამ ჩახლართულ ამბავში ერთი რამ ცხადია — ბექემი და „იუნაიტედი“ კონტრაქტთან დაკავშირებულ საკითხებზე აგერ უკვე თვრამეტი თვეა, რაც დავობენ. ამიტომაც ჩნდება აზრი: „მანჩესტერ იუნაიტედი“ ბექემის დარს დიდ ფულად, მაგრამ მაინც იშოვის.

ჭორის მოყვარულებმა ბექემი — ვერონის ბარტერის აზრიც კი გამოაცხვეს. ჭორი იმიტომ გვგონია, რომ ყველამ კარგად ვიცით, რას ნიშნავს „ოლდ ტრეფორდისთვის“ დევიდ ბექემი. მისი ერთი ხელის მოსმით მოშორება საკმაოდ ძნელი საქმეა. თუმცა იმასაც შეგახსენებთ, რომ ევროპულ ფეხბურთს ბევრი დიდი, სენსაციური და მოულოდნელი ტრანსფერი ახსოვს.

ახლა ბრიტანულ ფეხბურთში ერთ-ერთ პირველ და სახელიან არგენტინელს, სამოცდაათიანების ბოლოსა და ოთხმოციანების დასაწყისში „ტოტენჰემში“ მობურთალ ოსვალდო არდილესსაც მოვუსმინოთ: „ვერონი ალექს ფერგიუსონისთვის უძვირფასესი შენაძენი იქნება. წარმოიდგინეთ, მანჩესტერელთა შუა ხაზი: ვერონი, კინი, ბექემი, გიგზი, სქოულზი. დამეთანხმებით, ვერცერთი მწვრთნელი ვერ ინატრებს უკეთესს. ვერონი დიდი ფეხბურთელია. „ბოკა ხუნიორსში“ ის დიეგო მარადონას გვერდით თამაშობდა და მასზე კარგი მასწავლებელი, თქვენც კარგად იცით, მსოფლიოში ბევრი არაა“.

მართალი უნდა იყოს ოსვალდო არდილესი. ვერონი მართლაც ჩინებულია. ამიტომაც მანჩესტერელები არაფერს ერიდებიან. არგენტინელში, შეიძლება ითქვას, მოკრძალებულ ოცდაოთხ მილიონ გირვანქას იხდიან, სამაგიეროდ, სარეკორდო ჯამაგირს, კინისაზე გაცილებით მეტს, კვირაში ოთხმოციათას გირვანქას ჰპირდებიან.

ვერონი ასეთ პირობებში „ოლდ ტრეფორდზე“ წამსვლელია. სერ ალექსი ვერონს, ალბათ, სხვა ახალწვეულსაც დაახვედრებს. ბევრს ლაპარაკობენ „იუნაიტედში“ პატრიკ ვიერას გადასვლის შესახებ. ბოლოდროინდელი დაუზუსტებელი ცნობებით, სერ ალექსი თითქოს რუი კოშტასაც უცქერს მუშტრის თვალით. თუ ასე მოხდა, სერ ალექსის ბიჭები მომავალ სეზონში ძალიან მაღლა უნდა აფრინდნენ.

თუმცა ამგვარი მძლავრი შევსება ძველ გვარდიას უქმნის საფრთხეს. პირველი, ვინც ეს იგრძნო, ოცდაექვსი წლის ნახევარმცველი ნიკი ბათი გახლავთ. მას ახალი კონტრაქტი კი შესთავაზეს, მაგრამ გუნდში უძლავრესი ნახევარმცველების თავმოყრა, ალბათ, სათადარიგოთა სკამს უმზადებს. ამიტომაც მას დიდი სურვილი აქვს, სერ ალექსთან თავისი მომავალი გაარკვიოს. ჯერ კიდევ მანჩესტერელით კი, როგორც ხდება ხოლმე, უფრო პატარები — „ბლექბერნი“, „სანდერლენდი“, „მიდლსბრო“ და „ტოტენჰემი“ დაინტერესდნენ. არაა გამორიცხული და, ალბათ, ბათისთვისაც უპრიანი იქნება, თუ მას რომელიმეს შემადგენლობაში ვიხილავთ.

**გიორგი გამარდაშვილი**



ხუან სებასტიან ვერონი



დევიდ ბექემი

## აბა, პასპორტი მაჩვენეთ!

# მორატის მორალი
## შეიწყალეთ რეკობა!



ალვარო რეკობა

**ურუგვაელ** ალვარო რეკობას ფეხბურთის გარეშე ცხოვრება ვერ წარმოუდგენია, რაც იტალიის ფეხბურთის ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტს ნაკლებად აინტერესებს. ამას წინათ დასრულებულ პასპორტის გამყალბებელთა პროცესზე ითქვა, თაღლითობის, გაიტალიელების უსაფუძვლოდ მოსურნეობისთვის ურუგვაელი ბურთს ერთი წლით დაემშვიდობებაო.

ალბათ, თავში წაიშინეს ხელები რეკობამაც და მისი კლუბის ხელმძღვანელობამაც. მაგრამ საქმის გამოსწორების მცირე შანსი არსებობს და თაღლითობისთვის დასჯილები სააპელაციო კომიტეტის კარს მაინც შეალებენ. „ინტერი“ უკვე ამზადებს წერილს, სადაც ჩემი დისკვალიფიკაციის ვადის შემცირებას ითხოვს. დარწმუნებული ვარ, ფეხბურთის თამაშს მალევე გავაგრძელებ. მე ხომ ცუდი არაფერი გამიკეთებია“ — ამბობს ოცდახუთი წლის თავდამსხმელი და თავის დანაშაულში გაურკვევლობით ცოტა არ იყოს, გვაკვირვებს. თუმცა ამგვარი ოპტიმიზმის საფუძველი არსებობს. როგორც ვიცით, ასევე ცრუ იტალიელობაში ამხილეს „ლაციოს“ ვარსკვლავი, არგენტინელი ხუან სებასტიან ვერონი. მასაც დისკვალიფიკაცია ელოდა, მაგრამ მოულოდნელად ვერონი გამართლდა. ყველაფერი აღმასრულებელ დირექტორ ფილიჩე პულიჩის გადაბრალდა, თუმცა „ლაციოს“ კვაჭი და პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი აცხადებს, რომ მალე მასაც დაიხსნის მართლმსაჯულების კლანჭებიდან.

ხომ ხედავთ, რა ხდება. ვერონს, ცრუ იტალიელ თაღლითს, ამართლებენ. ხოლო რეკობას ერთი წლით დისკვალიფიკაციისთვის იმეტებენ. „ინტერის“ პრეზიდენტი მასიმო მორატიც არ სჩანს მთლად ბოგანო, მასაც შეუძლია მავანთ სიმართლის სასწორი თავისკენ გადაახრევინოს, მაგრამ, ეტყობა, თავშეკავებული კაცია და იცის, რომ ნამუსიც კარგი საქონელია. მასიმო მორატი და მისი კლუბი დამნაშავის სრულიად გამართლებას კი არა, სასჯელის შემცირებას ითხოვენ. სადაც კრანიოტი-ვერონისა გავიდა, იქ მორატირეკობას მოკრძალებულმა საჩივარმაც ეგებ გაჭრას. თუმცა შორიდან ძნელია, ამ ორი წყვილიდან მეტ-ნაკლები დამნაშავის ძიება. ამგვარ ლაპარაკს სჯობს, აპელაციის შედეგებს დაველოდოთ.

**გიორგი გამარდაშვილი**

# კანმა ბაიერნს მყუდროება დაურღვია

**მიუნხენის** „ბაიერნის“ ხელმძღვანელობა მზადაა, მომავალ ორ წელიწადში გუნდის გასაძლიერებლად 40 მილიონი დოლარი დახარჯოს. რა თქმა უნდა, ამ თანხაში ისინი მენდიეტას დარ ერთ ფეხბურთელსაც კი ვერ შეიძენენ, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მათ ყველა წამყვანი მოთამაშე შეინარჩუნეს, მიუნხენელები გერმანიაში და ევროპაშიც, ალბათ, ისევ პირველობისთვის იბრძოლებენ.

ოტმარ ჰიცფელდი იმისთვის ემზადებოდა, რომ გუნდს ძირითადის რამდენიმე ფეხბურთელი დატოვებდა. კერძოდ, პატრიკ ანდერსონი „ბარსელონაში“ უნდა წასულიყო, მაგრამ ეს ტრანსფერი არ შედგა, კარსტენ იანკერის „ფულემში“ გადასვლაც ჩაიშალა. ლიზარაზუს, ელბერსა და ეფენბერგს კი კლუბთან მოქმედი კონტრაქტი აკავშირებთ. დაიმატეს ხორვატი ძმები კოვაჩები, გვინეელი პაბლო ტიმი და პერუელი კლაუდიო პიზარო. ასე რომ, შემადგენლობაც შეინარჩუნეს და უფრო გაძლიერდნენ კიდეც.

წარმატებებით ფრთაშესხმული ვიცე-პრეზიდენტის, კარლ-ჰაინც რუმენიგეს განცხადებით, დღეს „ბაიერნი“ ისე ძლიერია, როგორც არასდროს. ფრანც ბეკენბაუერმა კი ფეხბურთელებს მოუწოდა, 70-წლების შედეგი გაიმეორონ, როცა მათ ზედიზედ სამჯერ მოიგეს ჩემპიონთა თასი.

თუმცა არსებობს ერთი კაცი — ოლივერ კანი, რომლის განცხადებამაც ეს იდილია დაარღვია. მართალია, მას 2003 წლამდე აქვს კონტრაქტი და ხელმძღვანელობა მის გაგრძელებასაც ცდილობს, მაგრამ თავად მეკარე სხვაგვარად ფიქრობს. ბოლო დროს მას თბილ ქვეყანაში გადასვლის სურვილი გაუჩნდა. ოლივერ კანი „ბარსელონაში“ შესაძლო გადასვლაზე ალაპარაკდა. „მე „ბაიერნს“ ერთგულად ვემსახურე და ხომ მაქვს უფლება, ძალა სხვაგანაც მოვსინჯო? თანაც წასვლა-დარჩენის საკითხი რაც შეიძლება მალე უნდა მოვაგვარო“ — განაცხადა მან.

აქვე შეგახსენებთ, რომ ოლივერ კანი გუნდში 1994 წელს მივიდა და 1996 წლიდან ძირითადი მეკარეა. მან „ბაიერნთან“ ერთად უეფას თასი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო, 4-ჯერ ბუნდესლიგის ჩემპიონიც გახდა.



ოლივერ კანი

**ვაჟა ხუციშვილი**

# ერთი წელი ჯოჯოხეთში ხილი ატლეტიკოში კუპრს ხარშავს



**მადრიდის** „ატლეტიკო“ რამდენიმე წლის წინ ევროპაში ერთ-ერთი გამორჩეული გუნდი გახლდათ. დღეს კი...

დღეს ეს სახელოვანი კლუბი ესპანეთის მეორე დივიზიონის მკვიდრია. შარშან დატოვა უძლიერესთა ლიგა, რაც საკმაოდ მტკივნეულად განიცადა გულშემატკივართა არმიამ. ეს სრულიად ბუნებრივიც იყო, რადგან ბოლო სამოცდაექვსი წლის მანძილზე მადრიდელები პირველად დაქვეითდნენ სეგუნდადივიზიონში.

„ერთი წელი ჯოჯოხეთში“ — ეს გახლდათ ამ სეზონში „ატლეტიკოს“ გულშემატკივართა ლოზუნგი, რასაც ისინი გუნდს ყოველი თამაშისას ცხვირწინ უფრიალებდნენ. არადა, როგორ სწრაფად იცვლება ფეხბურთში ყველაფერი — ხუთი წლის წინ ხომ „ატლეტიკომ“ დუბლი გააზერხა, მომდევნო ორი სეზონის განმავლობაში კი ორჯერ გავიდა სამეფო თასის ფინალში.

ალბათ, უმძიმესი ფსიქოლოგიური სტრესის ბრალი იყო, რომ მეორე დივიზიონში გუნდმა ისეთი საშინელი სტარტი აიღო, რომლის მსგავს პროგნოზსაც ყველაზე პესიმისტიც კი ძნელად თუ გააკეთებდა.

„ატლეტიკომ“ შვიდი მატჩიდან მხოლოდ ერთის მოგება შეძლო. ფანებს დიდხანს აწვალებდათ კითხვა — როგორ შეიძლებოდა ქვესკნელიდან თავის დაღწევა და სასურველი შედეგის მიღწევა?

გულშემატკივართა მოთმინების ფიალა მაშინ აივსო, როცა „ატლეტიკომ“ მერვე შეხვედრაც წააგო და თანაც ვისთან — მესამე დივიზიონიდან აღზევებულ გუნდთან, რომელსაც ესპანეთშიც კი ცოტა ვინმე თუ იცნობდა.

მადრიდელთა უნიათო თამაში, ცხადია, მის გადარეულ პრეზიდენტ ხესუს ხილსაც აგდებდა საგონებელში, ამიტომაც მან მდგომარეობის გამოსწორების მისთვის ჩვეული და სხვათათვის უჩვეულო ხერხი მოიგონა. აი, როგორი გახლდათ გუნდისადმი მისი მიმართვა: „თუკი თქვენ არაფერს იღონებთ, მთელ შემადგენლობას მოგიწევთ გადასცუროთ კანარის კუნძულებიდან ისლანდიამდე!“

ვისაც ხილის შესახებ ცოტა რამ სმენია, პრეზიდენტის ნათქვამი არ გაუკვირდება.

მოგვიანებით, „ატლეტიკომ“ თამაში გამოასწორა და პრიმერადივიზიონში დაბრუნების შანსიც გაუჩნდა, მაგრამ აქამდე მხოლოდ ერთი ქულა დააკლდა.

გუნდში შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით „ატლეტიკოს“ ყოფილი მოთამაშე, ამჟამად კი მისი დირექტორი პაულო ფუტრე იგონებს: „ეს უდიდესი იმედგაცრუება გახლდათ, ჩვენს გულშემატკივარს ამგვარი შედეგი არ დაუმსახურებია. ჩემი სპორტული კარიერის მანძილზე ეს უდიდესი დარტყმა იყო“.

სეზონის ბოლოს ფანებს დარდის გარკვეულწილად გაქარვება თასის გათამაშებაში შეეძლოთ, სადაც მათი გუნდი ნახევარფინალში გავიდა, იქ კი „სარაგოსას“ დაუპირისპირდა. გუნდმა წააგო, თანაც პირველი თამაში შინ, „ვისენტე კალდერონზე“ და გულშემატკივართა უმრავლესობა უკვე აშკარად უჭერდა მხარს ხესუს ხილის წასვლას.

გულშემატკივრები ხილს შეხვდნენ და პოსტის დატოვება მოსთხოვეს. თანაც უამრავი ბრალდება წაუყენეს.

ხილი რომ მაქინაციების მოყვარული კაცია, საქვეყნოდაა ცნობილი და მას მართლმსაჯულებამ ვირის აბანოც აზეხინა, მაგრამ, როგორც ჩანს, ესპანელმა თავისი არ მოიშალა და ამჯერადაც დადის ხოლმე სამართლდამცავ ორგანოებში დაკითხვებზე.

ქომაგებთან შეხვედრაზე პრეზიდენტმა კარგა ხანს მოთმინებით უსმინა აბობოქრებულ გულშემატკივართა არმიას და განაცხადა: „არსადაც არ წავალ, სანამ „ატლეტიკოს“ პრიმერადივიზიონში არ დავაბრუნებ და სანამ ჩემს უდანაშაულობას არ დავამტკიცებ!“

არადა, მისი პოლიტიკის შემხედვარეს ეს ნამდვილად უნდა გაუჭირდეს. თუნდაც ის ფაქტი რად ღირს, რომ ხილის ცამეტწლიანი ზეობის მანძილზე გუნდი თითქმის ყოველწლიურად, იშვიათი გამონაკლისის გარდა, სამ მწვრთნელს იცვლიდა.

ხილის აზრით „ატლეტიკო“ მეორე დივიზიონში ყოფნას იმ მიზნისთვის გამოიყენებს, რომ ახალი დიდი გუნდის შექმნას ჩაუყაროს საფუძველი. ამისთვის კი მას თადარიგი აქედანვე დაუჭერია. როგორც ცნობილია, სახელგანთქმული მწვრთნელი ლუის არაგონესი, რომელმაც „მალიორკა“ ჩემპიონთა ლიგაში გაიყვანა, ახალ სეზონში „ატლეტიკოს“ გაწვრთნის. არადა, ლუის არაგონესსა და ხესუს ხილს ადრე არცთუ მშვიდობიანი დამოკიდებულება ჰქონდათ. არაგონესმა მდინარეში მეორედ შესვლა გადაწყვიტა. ის ერთხელ უკვე წვრთნიდა „ატლეტიკოს“.

მადრიდული პრესა იმასაც აღნიშნავს, რომ ახალ სეზონს განსაკუთრებული ინტერესით ბილეთებით მოვაჭრენი ელიან, რომელთაც, თურმე ნუ იტყვით და, მაინც აქვთ იმედი, რომ წლეულსაც ტრადიციულ წეწვა-გლეჯვაში საკმაოდ ბევრს იშოვიან.

**გაგუკა ნადვალაძე**

**ფეხბურთის რუკასთან**



**იუგოსლაველმა** მცველმა გორან ბუნიევჩევიჩმა ბრიტანეთის სამუშაო ვიზა მიიღო და ამ დღეებში იგი „ტოტენჰემთან“ გააფორმებს კონტრაქტს. „ახალი სეზონიდან გლენ ჰოდლს ძლიერი გუნდი ეყოლება, მოხარული ვარ, რომ „უაით ჰართ ლეინზე“ ვითამაშებ. მჯერა, უეფას თასის საგზურის მოპოვებას შევძლებთ, თუმც ეს ჩვენი პოტენციალის მინიმუმია“ — განაცხადა „ცრვენა ზვეზდას“ 29 წლის ფეხბურთელმა, რომლის სანაცვლოდაც ლონდონურმა კლუბმა 4 მილიონი გირვანქა გადაიხადა. იგი „ტოტენჰემის“ მესამე ახალწვეულია ტედი შერინგემისა და გუსტავო პოიეტის შემდეგ.

**პარაგვაის ნაკრების ნახევარმცველმა ვიქტორ კინტანამ „ოლიმპია“ დატოვა და „პორტუში“ ჩაირიცხა. ამ დღეებში იგი ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს. 24 წლის კინტანა საყრდენი ნახევარმცველია, „პორტუში“ კი მისი ამპლუის კიდევ ხუთი ფეხბურთელი ირიცხება: პარაგვაელი კარლოს პარედესი და პორტუგალიელები — კოშტინია, შაინიუ, პეიშე და პაულინიუ სანტუში. როგორც ვარაუდობენ, პორტუგალიური კლუბი სამ მათგანს გაყიდის.**

**ესპანურმა** „ვალენსიამ“ სურვილი გამოთქვა, „სარაგოსას“ შემტევი ნახევარმცველი, პარაგვაელი რობერტო აკუნია შეიძინოს და ყაბულსაა, მის სანაცვლოდ 9 მილიონი გირვანქაც გაიღოს. ფეხბურთელის აგენტი აცხადებს, რომ პირობები თითქმის შეთანხმებულია, თუმცა ესპანეთის თასის ფინალამდე არაფერი გაცხადდება. ხოლო „სელტასა“ და „სარაგოსას“ მატჩის შემდეგ აკუნია, ალბათ, „ვალენსიასთან“ გააფორმებს კონტრაქტს.

**გერმანული „კაიზერსლაუტერნის“ დანიელმა მცველმა მიხაელ შიონბერგმა მუხლის ტრავმის გამო კარიერა დაასრულა. მართალია, მან მარტში კლუბთან კონტრაქტი ოთხი წლით გაახანგრძლივა, მაგრამ შემდეგ მძიმედ დაშავდა. „ექიმებმა გამაფრთხილეს, რომ თუ თამაშს თავს არ დავანებებდი, შეიძლებოდა ხეიბარი დავრჩენილიყავი. განზრახული მაქვს, მწვრთნელობა დავიწყო. შემოთავაზებებს დაველოდები და შემდეგ გადავწყვეტ, თუ სად ვიმუშავებ“ — განაცხადა შიონბერგმა.**

**კოლუმბიის** ნაკრების ნახევარმცველმა ფრედი რინკონმა ბრაზილიურ „კრუზეიროსთან“ გააფორმა კონტრაქტი. მას „სანტოსთან“ შეთანხმება დაუსრულდა და თავისუფალი აგენტი გახდა, ამიტომ „კრუზეირომ“ უსასყიდლოდ ჩაიგდო ხელში. რინკონის ხელფასი არ გაუმხელიათ, ის კი ცნობილია, რომ ხელშეკრულება ერთწლიანია.

**ესპანური „რასინგის“ ნახევარმცველმა მარსელო ესპინიამ განაცხადა, რომ იგი სანტანდერს ტოვებს და ჩილეში მიდის, რათა „კოლო კოლოში“ გააგრძელოს კარიერა. „კარიერის დასრულებას ამ კლუბში ვაპირებდი. ესპანეთიდან წასვლა ახლა არ გადამიწყვეტია, ამას ადრევე ვფიქრობდი. მადლობას ვუხდი „რასინგის“ ხელმძღვანელობასა და კლუბის ქომაგებს, აქ ჩინებული წლები გავატარე“ — თქვა ესპინიამ.**

**ბრაზილიელი** თავდამსხმელი ალოიზო „სენტ ეტიენიდან“ პსჟ-ში გადავიდა. ტრანსფერის ღირებულება 10 მილიონი დოლარია. შეგახსენებთ, რომ ალოიზო „სენტ ეტიენში“ 1999 წელს ჩაირიცხა, მაგრამ ტრავმის გამო მთელი სეზონი გაუცდა. 26 წლის ფეხბურთელი ახალ გუნდში თანამემამულე რონალდინოსთან ერთად ითამაშებს. „ჩვენ ოცი დღე ვაწარმოებდით მოლაპარაკებას და ამ გადაწყვეტილებამ ძალიან გამახარა. ყოველთვის ვოცნებობდი პსჟ-ში თამაშზე“ — განაცხადა ალოიზომ. სავარაუდოდ, პარიზელებს სხვა ბრაზილიელი — კრისტიანი დატოვებს, რომელსაც „ბორდო“ ეპატიჟება.

# მე რეალში მოვკვდე, დავიმარხო...

**მადრიდის** „რეალის“ კაპიტანმა ფერნანდო იერომ, ორი წლით გააგრძელა კლუბთან კონტრაქტი, რომელიც 2002 წელს უმთავრდება. „დარჩა მხოლოდ ხელის მოწერა, რაც ფორმალობა და დროის საქმეა“ — განაცხადა ფეხბურთელის აგენტმა. იეროს კლუბიდან გამოსასყიდი თანხა 25 მილიონი დოლარია. 33 წლის მცველი, კარიერას ალბათ, მადრიდში დაასრულებს.

იერო „რეალში“ 1989 წელს გადავიდა „ვალიადოლიდიდან“. თავდაპირველად ახალგაზრდა ფეხბურთელს გაუჭირდა ახალ კლუბთან შეგუება, მაგრამ მალე შეეთვისა. მაისში მან ნაკრების შემადგენლობაში თავისი 27-ე გოლი შეაგდო, რითაც ესპანელ ბომბარდირთა შორის საუკეთესო გახდა, ხოლო „რეალში“ თერთმეტი სეზონის განმავლობაში ასზე მეტი გოლი გაიტანა.

**ლუკა გეგეჭკორი**



ფერნანდო იერომ (მარცხნივ) „რეალის“ გარდა კლუბი არ იცის

# თემური & იური?



იური ჯორკაეფი

**საფრანგეთის** ნაკრების ვეტერანს, იური ჯორკაეფსა და გერმანიის ეროვნული გუნდის ყოფილ კაპიტანს, ამჟამად „კაიზერსლაუტერნის“ მწვრთნელ ანდრეას ბრემეს შორის თურმე დიდი უთანხმოებაა. ჯორკაეფს გუნდში დარჩენა აღარ სურს, გერმანელებთან კონტრაქტს კი მომავალი სეზონის ბოლომდე აქვს ვადა. ფრანგი ნახევარმცველი ასაკის მიუხედავად არცთუ ცუდ ფორმაშია. მისი თქმით, კლუბში ბევრი ამტკიცებს, რომ „კაიზერსლაუტერნს“ ის სჭირდება, მაგრამ ფეხბურთელი სხვაგვარად ფიქრობს: „მიუხედავად ზოგიერთების მცდელობისა, გუნდში დამტოვონ, ვერანაირ შანსს ვერ ვხედავ იმისა, რომ ჩემი და ბრემეს თანამშრომლობა გაგრძელდეს. ავად თუ კარგად, მოგებული თუ წაგებული, გუნდს მაინც დავტოვებ“.

ჯორკაეფის წასვლა გერმანული კლუბისთვისაც სახეირო უნდა იყოს. მომავალი წლის ბოლოს ფრანგი თავისუფალი აგენტი იქნება და „ლაუტერნი“ მასში გროშსაც ვერ აიღებს. ფეხბურთელით ფრანგული გუნდები — „ლიონი“ და „პარი სენ ჟერმენი“ დაინტერესებულან. თუმცა გერმანელები აცხადებენ, რომ ჯორკაეფის ყიდვის ოფიციალური თხოვნით მათ მხოლოდ ბერძნულმა პაოკ-მა მიმართა. შეგახსენებთ, რომ პაოკ-ის ყურადღების ცენტრში თემურ ქეცბაიაც მოექცა და თუ ორივე ტრანსფერი შედგა, თემური და იური მხარდამხარ იბრძოლებენ.

თუმცა ჯორკაეფს პაოკ-ი დიდად არ ხიბლავს, მაგრამ ფრანგს შესაძლოა, სხვა გამოსავალი არც ჰქონდეს. „კაიზერსლაუტერნის“ ხელმძღვანელობა აცხადებს: „თუ უახლოეს მომავალში არ გამოჩნდა გუნდი, რომელიც ფრანგის სატრანსფერო ღირებულებას გადაიხდის, მას ბუნდესლიგაში კიდევ ერთი წლით მოუწევს დარჩენა“. საქმის ამგვარი დაბოლოება კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იური ჯორკაეფს ნამდვილად არ სურს.

**გიორგი გაგარდუშვილი**

იყიდება!
ნახმარი
კომპიუტერული ტექნიკა
ტელ. 38-11-14, 39-48-29

# Copa Toyota Libertadores '2001

## ლიბერტადორესის თასი 2001

ფინალი. II მატჩი

**ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) 0:1 (პენ.3:1) კრუს ასული (მექსიკა) (1:0)**

0:1 პალენსია (45)

ბოკა ხუნიორსი: ო. კორდობა, იბარა, ბერმუდესი, მატელანი, როდრიგესი, სერნა, ვილარეალი (ხიმენესი 46), ტრავერსო, გაიტანი, რიკელმე, მ. დელგადო

კრუს ასული: ო. პერესი, გუტიერესი, ანხელესი, ალმაგერი, ბრაუნი, გალდამესი, ხ. ერნანდესი, პინეირო, ტ. კამპოსი (მორა 66), პალენსია, ხ. კარდოზო

60 000 მაყურებელი



საქმე პენალტებზე თუ მიდგა, ოსკარ კორდობა კედელია

# ბოკა ხუნიორსის სამი ექვსიანი და მექსიკელთა სამი პენალტი

„ბოკა ხუნიორსმა“, არგენტინის ყველაზე პოპულარულმა კლუბმა, ზედიზედ მეორედ მოიგო ლიბერტადორესის თასი, რასაც ასევე ზედიზედ მეორედ უკეთ შესრულებული პენალტების წყალობით მიაღწია. საერთოდ კი „ბოკამ“ სამხრეთამერიკელთა უპირველესი საკლუბო ჯილდო მეოთხედ მოიპოვა და ამ მაჩვენებლით მხოლოდ ორ კლუბს ჩამორჩება — არგენტინულსავე „ინდეპენდიენტეს“ (7) და ურუგვაულ „პენიაროლს“ (5).

საოცარი რამ მოხდა — „კრუს ასულმა“ მთელი გათამაშება ისე განვლო, შინ, „აცტეკაზე“, არათუ არ წაუგია, ფრედაც არ უთამაშია და პირველ ფინალურ მატჩში კი დამარცხდა.

მეორე მხრივ, არც „ბოკა ხუნიორსის“ დამარცხებაა იოლი ბუენოს აირესის „ლა ბომბონერაზე“. ადრეც გვითქვამს, რომ „ბოკას“ ლიბერტადორესის თასზე აქამდე 65 შეხვედრა გაუმართავს და ოდენ ხუთჯერ დამარცხებულა. ჰოდა, ვინ წარმოიდგენდა, რომ მატჩს მექსიკელები მოიგებდნენ და საქმე პენალტებამდე მივიდოდა?! თუმცა, „კრუს ასულმა“ ეს წარმოიდგინა, სხვაგვარად თამაშს დაწყებამდე წააგებდა და პირველი ტაიმის მეოთხე წამატებულ წუთზე ხუან ფრანსისკო პალენსიამ 60 ათასი არგენტინელი ჩააჩუმა. ასე მოხდა: სტუმრებმა კუთხური ჩააწოდეს, ხოსე კარდოზომ ოდნავ უკან პალენსიას დაუგორა და ამანაც გაიტანა.

თუმცა ეს ტაიმის ბოლოს იყო. თამაში კი იმით დაიწყო, რომ ქომაგებმა აურიეს — მინდორზე გადასვლა მოინდომეს და პოლიციას ცრემლსადენი გაზის გამოყენება მოუხდა. ამ პროცედურამ ექვსი წუთი წაიღო და თამაშიც გაგრძელდა.

გაგრძელდა და სტუმარმა ვიქტორ ფერნანდესმა ძელს გაარტყა. კიდევ რამდენიმე წუთში მექსიკელთა ორი იერიში მეკარე ოსკარ კორდობამ დიდებული ნახტომებით ჩაშალა. თავის მხრივ, არც არგენტინელები ყოფილან გულხელდაკრეფილნი და მათ, განსაკუთრებით კი ხუან რომან რიკელმემ, კრუსასულელი მეკარე ოსკარ პერესის საიმედოობა შეამოწმეს. პერესი არ ჩაჭრილა. ტაიმის ბოლოს კი პალენსიამ გაიტანა და მექსიკელებმა თამაშიც მოიგეს. ლიბერტადორესის თასზე 66-ე მატჩში „ბოკა“ მეექვსედ დამარცხდა.

90-წუთიანი ბრძოლა „ბოკამ“ წააგო, მაგრამ რაკი მექსიკური 90 წუთი მოგებული ჰქონდა, სერიაში ანგარიში გათანაბრდა და სამხრეთამერიკული წესების შესაბამისად, პირდაპირ პენალტების სერია დაინიშნა.

ოსკარ კორდობას პენალტი როგორ არ გაუშვია, მაგრამ სერიაში დიდებულად იგერიებს ბურთებს. ასე იყო შარშან, როცა „ბოკა ხუნიორსმა“ კორდობას აღებული პენალტების წყალობით ფინალში ბრაზილიური „პალმეირასი“ დაამარცხა. ასე იყო წლევანდელი გათამაშების ნახევარფინალშიც, როცა იმავ კორდობამ იმავ „პალმეირასს“ ორჯერ არ გაატანინა და ახლაც...

პირველი დარტყმები ორივე გუნდმა ზუსტად შეასრულა, მომდევნო სამიდან „კრუს ასულმა“ ერთიც ვერ შეაგდო! თუმცა სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ ამ სამი დარტყმიდან კორდობამ მხოლოდ ერთი აიღო, დანარჩენი ორი მექსიკელებმა თავად ააცილეს კარს. ერთხელაც დადასტურდა სამხრეთ ამერიკაში საყოველთაოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ მექსიკელებმა პენალტების შესრულება არ იციან.

„ბოკა“ კი ზეიმობდა. იოლი წარმოსადგენია, რაც ხდებოდა „ლა ბომბონერაზე“. არგენტინელებს სულ მცირე საბაბი მიეცი და სტადიონს აიკლებენ, დიდი გამარჯვების შემდეგ ხომ, მით უმეტეს, ასე იქნებოდა. ოღონდ ამჯერად პოლიციის ჩარევა საჭირო აღარ იყო.

„ეს უბედნიერესი დღეა ჩემთვის მას შემდეგ, რაც პირველად შევეხე ბურთს“ — თქვა რიკელმემ, რომლისთვისაც ეს შესაძლოა, ბოლო მატჩი იყო „ბოკას“ ლურჯ-ყვითელი მაისურით — მას უთანხმოება აქვს კლუბის ხელმძღვანელობასთან. მაგრამ ეს დღე საქმეების გასარჩევად ნამდვილად არ გამოდგებოდა.



თასმა ხუან რომან რიკელმეს პრობლემები დროებით დაავიწყა

**გიორგი დარჯანია**

# კოსმოპოლიტური მოთხრობა

ძალიან მოენატრა ვისენტე დელ ბოსკეს თავისი საქმე, რომელსაც წლობით, ერთგულად ემსახურებოდა. დაიღალა, დაიღალა უჩვეულო საკითხებზე ფიქრით. ძველი დრო მოენატრა. მართალია, ოფიციალურად ხან რად იყო გაფორმებული და ხან რად, სინამდვილეში ერთსა და იმავე საქმეს ემსახურებოდა — მადრიდის „რეალის“ ბუფეტში სოსისს წვავდა და ხარშავდა.

რაც მართალია, მართალია, ძალიან კარგად ეხერხებოდა თავისი საქმე და თუ ვინმეს ჰგონია, რომ ეს ტყუილია, ანუ სოსისის შეწვა ყველას შეუძლია, სენიორ დელ ბოსკეს ჰკითხოს.

მერე კი... მერე საშინელება მოხდა. ისედაც ვალებში ჩაფლული „რეალი“ უმწვრთნელოდ დარჩა და ვინაიდან უფულობის გამო ვერავის მოიწვევდნენ, კლუბის დირექტორატმა ის დაიბარა.

— ვისენტე, ჩემო ძველო მეგობარო, დადე სოსისი და აიღე შვიშტოკი. შენ „რეალს“ სჭირდები — უთხრა ყველაზე ჰალსტუხიანმა.

და მას მერე გარშემო სრული კოშმარია: ვარჯიშები, გადაფრენები, თამაშები და რაც ყველაზე საშინელია, მოგებები, მოგებები... ათიდან ცხრა შემთხვევაში. ეჰ, ასე ხომ არასდროს მოხსნიან თანამდებობიდან.

განსაკუთრებით რთული ის მომენტია, როდესაც თამაშის დღეს რალაც დაფიან ოთახში მთელი გუნდი პირდაღებული ჯდება და თვალებში შესცქერის. აი, ამ მომენტში დელ ბოსკე გრძნობს, რომ რალაცა უნდა თქვას, მაგრამ რა? და ის, მაინც, იწყებს:

— ზოგადად, ბატონებო, სოსისი ნელ ცეცხლზე უნდა შეიწვას, მაღალზე კი დაიხრუკება და გადასაგდებია.

ფეხბურთელები ვერაფერს იგებენ, სანამ ყველაზე გამოცდილი, ფერნანდო იერო არ გადაულაპარაკებს:

— ასე ამბობს მეტოქეს ცეცხლი შეუნთეთ, მაღალ ტემპში ითამაშეთო.

ახლა ყველაფერი ნათელია, ისინი ისევ მწვრთნელს უსმენენ (ცხადია, პირდაღებულნი). მწვრთნელი განაგრძობს:

— ტაფაზე სოსისები თანაბრად რომ განაწილდეს, სჯობს ყველაზე დიდი შუაში დავდოთ.

ყველა ისევ იეროსკენ იყურება. კაპიტანი ჩურჩულით ამბობს:

— ელგერას ნახევარდაცვაში აყენებს.

— მე კი არა, მგონი გუტის აყენებს ნახევარდაცვაში — მორიდებით პასუხობს ელგერა, მაგრამ მისი ნათქვამი იკარგება, რადგან ფეხბურთელები ისევ პირდაღებულნი ტრიალდებიან მწვრთნელისკენ. ის ბრძანებს:

— ნაპირას ყველაზე პატარა და დაგრეხილი იდება. თან, ყველაზე მალე იწვება და წესით, უნდა გასკდეს.

იეროს კომენტარი საჭირო აღარ არის. რობერტო კარლოსი თანხმობის ნიშნად თავს აქნევს. გავსკდები, ესე იგი, შორიდან დავარტყამ, ფიქრობს ის. უკვე ბრძოლის ჟინითაა შეპყრობილი.

— უნდა ვეცადოთ, ღორის ხორცის სოსისებში ქათმისა არ გაგვეპაროს და პირიქით.

იერო დანანებით იხედება მაკმანამანისკენ, რომელიც გაბუტული სახით ხრის თავს. დღეს „სასტავში“ ვერ მოვხვდი — ლამისაა ცრემლი მოადგეს.

— ხოლო დანარჩენ სოსისებს არაფერი უნდა, მთავარია, ტაფაზე მოხდენილად გაანაწილო, დააკვირდე, მათი წვის პროცესით დატკბე და თან იგრძნო, როდის უნდა ამოიღო რომელიმე მათგანი, რათა მის ადგილას ახალი ჩადო. ამაშია სოსისთა შეწვის მთავარი საიდუმლო, ესაა ყველაფერი.

დელ ბოსკე ეზხში შედის, ჭეშმარიტი პროფესია აგონდება, თვალზე ცრემლი ადგება და ვერც კი ატყობს მისი მგზნებარე სიტყვით აღელვებულ მოთამაშეთა სახეზე ბრძოლის როგორი ჟინია ასახული.

„ჩვენ უნდა მოვიგოთ“ — მტკიცედ ამბობს თითოეული მათგანი.

„ბუფეტში მინდა“ — დარდობს მწვრთნელი.

**ბაბუნა ძიდია**

საქართველოს შსს-ს საყურადღებოდ: ჩვენს ხელთ არსებული უტყუარი ინფორმაციით, წლეულს ქვეყნის მოსახლეობის ერთი ნახევარი აპირებს მეორეს გატაცებას და პანკისის ხეობაში გადამალვას. გთხოვთ, მიიღოთ ზომები.



# RE LEONE

# გაბრიელ ბატისტუტას პირველი გოლი: ირინა ფერნანდესი

*გაბრიელ ომარ ბატისტუტა ისტორიას მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო თავდამსხმელად შემორჩება. ის მდიდარია, სიმპათიური, ცნობილი, კაცთა შურისა და ქალთა ოხვრის საგანი. მაგრამ იყო დრო, როდესაც ხალხთა უმეტესობის კერპი ჯერაც პირტიტველა, უცნობი და ღარიბი გახლდათ. ისევე, როგორც თითოეულ ჩვენთაგანს, მასაც ჰქონია გაურკვევლობისა და გაჭირვების დღეები, თუმცა მათ ყოველთვის ღირსეულად ხვდებოდა. გაბრიელს ერთი თვისება აქვს – არასდროს ნებდება. მისი სურვილი მარად ერთია: იცხოვროს სრულყოფილი ცხოვრებით და, იმავდროულად, ძალიან კარგად მოეხსენება, რომ შესაძლოა, უამრავ წინააღმდეგობას წააწყდეს. თუმცა მისთვის ისიც ცხადია, რომ თუ არსებობს პრობლემა, იგი გამარჯვებული უნდა გამოვიდეს. და დღეს, რასაც გაბრიელი ფლობს, მისივე ოფლით, თავდადებით და თავგანწირვითაა მოპოვებული.*



ბავშვობაში ბატი ლამაზი და ბედნიერი გახლდათ. იგი კაცობრიობას 1969 წლის პირველ თებერვალს შეუერთდა. ცხადია, მაშინ ქალაქ აველანედაში არავინ იცოდა, რომ მათ გვერდით ოთხმოცდაათიანი წლების უდიდესი ფორვარდი დაიბადა. ლეგენდამაც სწორედ ამ ქალაქიდან აიდგა ფეხი, თუმცა მოგვიანებით მის ცხოვრებას მნიშვნელოვანი კვალი სხვა ქალაქმა, რეკონკისტამ დააჩნია.

გაბრიელის ბავშვობამ მამის, ომარის მეთვალყურეობასა და დედის, გლორიას სიყვარულში გაიარა. დედასთან მას განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა და არასდროს უგრძვნია ის ეკონომიკური კრიზისი, რომელიც პერიოდულად ასე აწუხებდა ოჯახს. რთულ დროებათა მიუხედავად, ბატი თევზაობდა, ბურთს დასდევდა ან უბრალოდ ეძინა. ამხანაგები „გრინგოს“ (ანუ თეთრკანიანს) და მსუქანას ეძახდნენ და მისი ჩათვლით არავინ უწყოდა, რომ საქმე ჯერაც დაუწერელ წიგნთან ჰქონდათ, რომელიც თავის წამს ელოდა.

აქვე ვთქვათ, ბატისტუტების საოჯახო ხეზეც: გაბრიელის დაბადების შემდეგ გლორიას და ომარს სამი ქალიშვილი, ელიზა, ალეხანდრა და გაბრიელა შეეძინათ. როგორც ამბობენ, ბატის არასდროს უგრძვნია რაიმე შური თავის დების მიმართ, თუმცა, შესაძლოა, ხუთი წლის რომ გახლდათ, ცოტას ეჭვიანობდა.

თექვსმეტი წლის ბატი სრულიად მოხიბლა ერთმა გოგონამ, რომელსაც ირინა ფერნანდესი ერქვა. ეს გოგონა მისი ოცნების ვარსკვლავად იქცა.

უცნაურია, მაგრამ, უკვე ამ ასაკში ხვდებოდა გაბრიელი, რომ მის ცხოვრებაში ქალს დიდი როლი უნდა შეესრულებინა.

მაგრამ, აი, მოვიდა ირინას მეთხუთმეტე დაბადების დღე და გაბრიელმა დაინახა, რომ მისი ვარსკვლავი წვეულებაზე მის გარდა ყველა ბიჭს ეცეკვება. ერთი მხრივ, ეს გასაგებიც გახლდათ, იგი ხომ სრულიად უცნობი, მხოლოდ და მხოლოდ მოზარდი გახლდათ.

მაგრამ ბატისტუტა ხასიათით მაშინაც ბატისტუტა იყო, ჟინიანი და თავდადებული. მას ბავშვობიდან მოყოლებული, თუნდაც უმნიშვნელო წვრილმანის წინაშე არ ჩაუქნევია ხელი და ისეთ სერიოზულ საქმეს, როგორიც ცხოვრების თანამგზავრის შერჩევა გახლდათ, როგორ შეეპუებოდა.

და 1990 წლის 28 დეკემბერს, სანტ როკეს ეკლესიაში გაბრიელ ომარ ბატისტუტამ ირინა ფერნანდესზე ჯვარი დაიწერა.

დღეს გაბრიელი ამბობს, რომ მაშინ თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი „დიახ“ თქვა.

იმ დღეებიდან, როდესაც ბატისტუტა „ილ ლომბრიკოს“ პატარა სტადიონზე აგორებდა ბურთს, „ბოკა ხუნიორსის“ სარბიელ „ლა ბომბონერაზე“ გადაბარგებამდე, მის ცხოვრებაში ბევრმა სირთულემ და იღბლიანმა წამმა გაიარა. დიახ, იღბლის გარეშე ნებისმიერ ადამიანს ძნელად თუ მიუღწევია რაიმე წარმატებისთვის, თუმცა ისიც ნათქვამია, რომ გამართლებით, მხოლოდ ძლიერებს უმართლებთ.

ფეხბურთელობაზე, მით უმეტეს, ვარსკვლავობაზე ბატისტუტას არასდროს უოცნებია, რადგან მისი საყვარელი სახეობა კალათბურთი გახლდათ. აბა, საიდან უნდა სცოდნოდა, რომ უფლისგან გოლების გატანის და დიდი ფეხბურთელობის ნიჭი ჰქონდა მომადლებული. არადა, არასდროს დაუსახავს მიზნად გამხდარიყო ცნობილი.

მისი „დებიუტი“ ფეხბურთში სრული შემთხვევითობა გახლდათ და 1988 წლის 25 სექტემბერს შედგა. დიახ, 1987 წელს, იანვარში, როსარიოს გუნდის, „ნიუელს ოლდ ბოიზის“ ხალხმა ბატი „მოიტაცა“ და ჭეშმარიტ გზას დააყენა. ისინი შავი მანქანით იყვნენ, გაბრიელის ცხოვრებაში კი რთული დღეები იდგა, მაგრამ მამა ომარი შავმანქანიანებისკენ აღმოჩნდა. „დროა ბედი სცადო, იქნებ ფრთები გაშალო“ — უთხრა მამამ.

როსარიოში ჩასული გაბრიელი პირველად წააწყდა შურს, მაგრამ საუკეთესო მეგობრებიც შეიძინა. თუმცა მთავარი ის გახლდათ, რომ გუნდის მწვრთნელმა იგი პირველივე შეხედვით მოიწონა და ენდო. იმ მწვრთნელს მარსელო ბიელსა ერქვა და დღეს არგენტინის ნაკრების სათავეშია. ბატისტუტა დაუყოვნებლივ ძირითად-შემადგენლობაში აღმოჩნდა.

ქვეყნის ჩემპიონატში [illegible] „[illegible]ონის“ ანუ ლომთა [illegible] კუმანში შედგა, „სან მარტინის“ წინააღმდეგ. მან ნახევარი საათი ითამაშა. გუნდმა 0:1 წააგო.

თუმცა ის, რასაც ჩვენ ნამდვილ დებიუტს ვუწოდებთ, სამი დღის მერე შედგა, როდესაც „ნიუელსის“ თავდამსხმელი გაბრიჩი დაშავდა და ბატი, მაისურით, რომელსაც ზურგზე მეცხრე ნომერი ეწერა, კოპა ლიბერტადორესის ნახევარფინალში „სან ლორენსოს“ წინააღმდეგ გავიდა მოედანზე. მას გოლი არ გაუტანია, მაგრამ, როგორც ამბობენ, მოედანზე გული დატოვა. მეორე დილით გაბრიელმა გაზეთში ასეთი სათაური წაიკითხა: „ბატისტუტა — ვარსკვლავი, რომელიც იქმნება“.

მაგრამ ჩვენმა გმირმა მხოლოდ მომხრეები როდი შეიძინა. მაგალითად, წარსული დროების დიდი ჩემპიონები, პასარელა და სივორი ამტკიცებდნენ, რომ იგი ყურადღებას არ იმსახურებდა. როდესაც ბატისტუტა „რივერ პლეიტში“ თამაშობდა, ხოლო გუნდის მწვრთნელი პასარელა გახლდათ, „რე ლეონი“ ნამდვილ დისკრიმინაციას განიცდიდა. ისევე, როგორც მერე, იგივ პასარელა ნაკრებს რომ ჩაუდგა სათავეში. სივორიც მთელი ცხოვრება საჯაროდ აკნინებდა მას. თუმცა, ბოლო დროს ადრე ნათქვამების მიმართ, რაღაც ამნეზია შეეყარა.

მაგრამ, ბატის არასდროს გასჩენია შურისძიების ან ბოღმის მოსმენის სურვილი. ის ხომ ბატისტუტაა და აქ ყველაფერი მთავრდება.

„ნიუელს ოლდ ბოიზსა“ და „რივერ პლეიტში“ თამაშის შემდეგ, ბიზნესში ფრიად განსწავლული მენეჯერი სეტიმო ალოისიო, გაბრიელს „ბოკა ხუნიორსში“ ყიდის. „ბოკა“ კი ის გუნდია, ბატის გულში მყარად რომ ამოუჭრია ადგილი. და ბატის პირველი იტალიური გამოცდილებაც ალოისიოს წყალობითაა: გაბრიელი „ვიარეჯოს“ ტურნირზე სათამაშოდ „ილ დეპორტივოსთან“ ერთად გაფრინდა.

„მილანთან“ ფრის შემდეგ (ამ გუნდში მეთორმეტე ნომრით თამაშობდა ფრანჩესკო ტოლდო), ბატიმ სოფიის ცსკა-სთან ჰეთ თრიქი შეასრულა. შემდეგ, იყო მატჩი „ტორინოსთან“, რომელშიც „დეპორტივო“ პენალტებით დამარცხდა, ხოლო ამ პენალტებიდან გადამწყვეტი სწორედ გაბრიელმა ააცილა — ასეთი გახლდათ მისი მეოცე დაბადების დღე.

შეჯიბრებისგან ერთ-ერთ თავისუფალ დღეს მწვრთნელებმა ახალგაზრდები ნამდვილ კალჩოზე წაიყვანეს: „ფიორენტინა“ — „მილანი“, რამაც ბატისტუტა მოხიბლა. ის აღფრთოვანებული დარჩა მხარდაჭერით, რომელიც ტიფოზებმა „იებს“ („ფიორენტინას“ მეტსახელია) აგრძნობინეს.

იმ დღეს ბატიმ არ იცოდა, რომ ორი წლის მერე იმავ ქომაგების სიყვარულის მთავარი ობიექტი გახდებოდა.

**თარგმნა ბაბუნა ძედიამ**

(გაგრძელება მომდევნო შაბათს)



პატარა გაბრიელი დედა გლორიასთან და მამა ომართან ერთად



საყვარელი გაუხუნარი: გაბრიელ ბატისტუტა და ირინა ფერნანდესი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბუნდესლიგა 2001-2002

მომავალ სეზონში ბუნდესლიგის გუნდებს ნება დართეს, სამი არაევროკავშირელი ლეგიონერის ნაცვლად ხუთი ათამაშონ. ეს ამბავი გერმანიის საფეხბურთო კავშირის საგანგებო კომისიის სხდომაზე გადაწყდა. ასევე დაწესდა, რომ შაბათ საღამოს ტური არ გაიმართება. პირველი შვიდი მატჩი შაბათს, ოთხის ნახევარზე დაიწყება, დარჩენილი ორი კი კვირას, ექვსის ნახევარზე. ამას წინათ ისიც გაუწყეთ, რომ ბუნდესლიგაში პარასკევის თამაშები საერთოდ გაუქმდა.



REUTERS ლევერკუზენიდან

ულფ კირსტენმა და ლევერკუზენის „ბაიერმა" ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყეს

**29 ივლისი, 2001**

მიუნხენი - ლაუტერნი
შტუტგარტი - კიოლნი
კოტბუსი - ჰამბურგი
ფრაიბურგი - ვერდერი
დორტმუნდი - ნიურნბერგი
ზანქტ პაული - ჰერტა
ლევერკუზენი - ვოლფსბურგი
გლადბახი - ბაიერნი
შალკე - ჰანზა

**5 აგვისტო, 2001**

ბაიერნი - შალკე
ვოლფსბურგი - ზანქტ პაული
ჰერტა - დორტმუნდი
ნიურნბერგი - ფრაიბურგი
ვერდერი - კოტბუსი
ჰამბურგი - შტუტგარტი
კიოლნი - მიუნხენი
ლაუტერნი - გლადბახი
ჰანზა - ლევერკუზენი

**12 აგვისტო, 2001**

მიუნხენი - ჰამბურგი
შტუტგარტი - ვერდერი
კოტბუსი - ნიურნბერგი
ფრაიბურგი - ჰერტა
დორტმუნდი - ვოლფსბურგი
ზანქტ პაული - ჰანზა
ლევერკუზენი - ბაიერნი
ლაუტერნი - კიოლნი
გლადბახი - შალკე

**19 აგვისტო, 2001**

ბაიერნი - ზანქტ პაული
ვოლფსბურგი - ფრაიბურგი
ჰერტა - კოტბუსი
ნიურნბერგი - შტუტგარტი
ვერდერი - მიუნხენი
ჰამბურგი - ლაუტერნი
კიოლნი - გლადბახი
შალკე - ლევერკუზენი
ჰანზა - დორტმუნდი

**9 სექტემბერი, 2001**

მიუნხენი - ნიურნბერგი
შტუტგარტი - ჰერტა
კოტბუსი - ვოლფსბურგი
ფრაიბურგი - ჰანზა
დორტმუნდი - ბაიერნი
ზანქტ პაული - შალკე
კიოლნი - ჰამბურგი
ლაუტერნი - ვერდერი
გლადბახი - ლევერკუზენი

**16 სექტემბერი, 2001**

ბაიერნი - ფრაიბურგი
ვოლფსბურგი - შტუტგარტი
ჰერტა - მიუნხენი
ნიურნბერგი - ლაუტერნი
ვერდერი - კიოლნი
ჰამბურგი - გლადბახი
ლევერკუზენი - ზანქტ პაული
შალკე - დორტმუნდი
ჰანზა - კოტბუსი

**23 სექტემბერი, 2001**

მიუნხენი - ვოლფსბურგი
შტუტგარტი - ჰანზა
კოტბუსი - ბაიერნი
ფრაიბურგი - შალკე
დორტმუნდი - ლევერკუზენი
ჰამბურგი - ვერდერი
კიოლნი - ნიურნბერგი
ლაუტერნი - ჰერტა
გლადბახი - ზანქტ პაული

**30 სექტემბერი, 2001**

ბაიერნი - შტუტგარტი
ვოლფსბურგი - ლაუტერნი
ჰერტა - კიოლნი
ნიურნბერგი - ჰამბურგი
ვერდერი - გლადბახი
ზანქტ პაული - დორტმუნდი
ლევერკუზენი - ფრაიბურგი
შალკე - კოტბუსი
ჰანზა - მიუნხენი

**14 ოქტომბერი, 2001**

მიუნხენი - ბაიერნი
შტუტგარტი - შალკე
კოტბუსი - ლევერკუზენი
ფრაიბურგი - ზანქტ პაული
ვერდერი - ნიურნბერგი
ჰამბურგი - ჰერტა
კიოლნი - ვოლფსბურგი
ლაუტერნი - ჰანზა
გლადბახი - დორტმუნდი

**21 ოქტომბერი, 2001**

ბაიერნი - ლაუტერნი
ვოლფსბურგი - ჰამბურგი
ჰერტა - ვერდერი
ნიურნბერგი - გლადბახი
დორტმუნდი - ფრაიბურგი
ზანქტ პაული - კოტბუსი
ლევერკუზენი - შტუტგარტი
შალკე - მიუნხენი
ჰანზა - კიოლნი

**28 ოქტომბერი, 2001**

მიუნხენი - ლევერკუზენი
შტუტგარტი - ზანქტ პაული
კოტბუსი - დორტმუნდი
ნიურნბერგი - ჰერტა
ვერდერი - ვოლფსბურგი
ჰამბურგი - ჰანზა
კიოლნი - ბაიერნი
ლაუტერნი-შალკე
გლადბახი - ფრაიბურგი

**4 ნოემბერი, 2001**

ბაიერნი - ჰამბურგი
ვოლფსბურგი - ნიურნბერგი
ჰერტა - გლადბახი
ფრაიბურგი - კოტბუსი
დორტმუნდი - შტუტგარტი
ზანქტ პაული - მიუნხენი
ლევერკუზენი - ლაუტერნი
შალკე - კიოლნი
ჰანზა - ვერდერი

**18 ნოემბერი, 2001**

მიუნხენი - დორტმუნდი
შტუტგარტი - ფრაიბურგი
ჰერტა - ვოლფსბურგი
ნიურნბერგი - ჰანზა
ვერდერი - ბაიერნი
ჰამბურგი - შალკე
კიოლნი - ლევერკუზენი
ლაუტერნი - ზანქტ პაული
გლადბახი - კოტბუსი

**25 ნოემბერი, 2001**

ბაიერნი - ნიურნბერგი
ვოლფსბურგი - გლადბახი
კოტბუსი - შტუტგარტი
ფრაიბურგი - მიუნხენი
დორტმუნდი - ლაუტერნი
ზანქტ პაული - კიოლნი
ლევერკუზენი - ჰამბურგი
შალკე - ვერდერი
ჰანზა - ჰერტა

**2 დეკემბერი, 2001**

მიუნხენი - კოტბუსი
შტუტგარტი - გლადბახი
ჰერტა - ბაიერნი
ნიურნბერგი - შალკე
ვერდერი - ლევერკუზენი
ჰამბურგი - ზანქტ პაული
კიოლნი - დორტმუნდი
ლაუტერნი - ფრაიბურგი
ჰანზა - ვოლფსბურგი

**9 დეკემბერი, 2001**

ბაიერნი - ვოლფსბურგი
შტუტგარტი - მიუნხენი
კოტბუსი - ლაუტერნი
ფრაიბურგი - კიოლნი
დორტმუნდი - ჰამბურგი
ზანქტ პაული - ვერდერი
ლევერკუზენი - ნიურნბერგი
შალკე - ჰერტა
გლადბახი - ჰანზა

**16 დეკემბერი, 2001**

მიუნხენი - გლადბახი
ვოლფსბურგი - შალკე
ჰერტა - ლევერკუზენი
ნიურნბერგი - ზანქტ პაული
ვერდერი - დორტმუნდი
ჰამბურგი - ფრაიბურგი
კიოლნი - კოტბუსი
ლაუტერნი - შტუტგარტი
ჰანზა - ბაიერნი

**19 დეკემბერი, 2001**

ბაიერნი - გლადბახი
ვოლფსბურგი - ლევერკუზენი
ჰერტა - ზანქტ პაული
ნიურნბერგი - დორტმუნდი
ვერდერი - ფრაიბურგი
ჰამბურგი - კოტბუსი
კიოლნი - შტუტგარტი
ლაუტერნი - მიუნხენი
ჰანზა - შალკე

**27 იანვარი, 2002**

შალკე - ბაიერნი
ზანქტ პაული - ვოლფსბურგი
დორტმუნდი - ჰერტა
ფრაიბურგი - ნიურნბერგი
კოტბუსი - ვერდერი
შტუტგარტი - ჰამბურგი
მიუნხენი - კიოლნი
გლადბახი - ლაუტერნი
ლევერკუზენი - ჰანზა

**3 თებერვალი, 2002**

ჰამბურგი - მიუნხენი
ვერდერი - შტუტგარტი
ნიურნბერგი - კოტბუსი
ჰერტა - ფრაიბურგი
ვოლფსბურგი - დორტმუნდი
ჰანზა - ზანქტ პაული
ბაიერნი - ლევერკუზენი
კიოლნი - ლაუტერნი
შალკე - გლადბახი

**6 თებერვალი, 2002**

ზანქტ პაული - ბაიერნი
ფრაიბურგი - ვოლფსბურგი
კოტბუსი - ჰერტა
შტუტგარტი - ნიურნბერგი
მიუნხენი - ვერდერი
ლაუტერნი - ჰამბურგი
გლადბახი - კიოლნი
ლევერკუზენი - შალკე
დორტმუნდი - ჰანზა

**10 თებერვალი, 2002**

ნიურნბერგი - მიუნხენი
ჰერტა - შტუტგარტი
ვოლფსბურგი - კოტბუსი
ჰანზა - ფრაიბურგი
ბაიერნი - დორტმუნდი
შალკე - ზანქტ პაული
ჰამბურგი - კიოლნი
ვერდერი - ლაუტერნი
ლევერკუზენი - გლადბახი

**17 თებერვალი, 2002**

ფრაიბურგი - ბაიერნი
შტუტგარტი - ვოლფსბურგი
მიუნხენი - ჰერტა
ლაუტერნი - ნიურნბერგი
კიოლნი - ვერდერი
გლადბახი - ჰამბურგი
ზანქტ პაული - ლევერკუზენი
დორტმუნდი - შალკე
კოტბუსი - ჰანზა

**24 თებერვალი, 2002**

ვოლფსბურგი - მიუნხენი
ჰანზა - შტუტგარტი
ბაიერნი - კოტბუსი
შალკე - ფრაიბურგი
ლევერკუზენი - დორტმუნდი
ვერდერი - ჰამბურგი
ნიურნბერგი - კიოლნი
ჰერტა - ლაუტერნი
ზანქტ პაული - გლადბახი

**3 მარტი, 2002**

შტუტგარტი - ბაიერნი
ლაუტერნი - ვოლფსბურგი
კიოლნი - ჰერტა
ჰამბურგი - ნიურნბერგი
გლადბახი - ვერდერი
დორტმუნდი - ზანქტ პაული
ფრაიბურგი - ლევერკუზენი
კოტბუსი - შალკე
მიუნხენი - ჰანზა

**10 მარტი, 2002**

ბაიერნი - მიუნხენი
შალკე - შტუტგარტი
ლევერკუზენი - კოტბუსი
ზანქტ პაული - ფრაიბურგი
ნიურნბერგი - ვერდერი
ჰერტა - ჰამბურგი
ვოლფსბურგი - კიოლნი
ჰანზა - ლაუტერნი
დორტმუნდი - გლადბახი

**17 მარტი, 2002**

ლაუტერნი - ბაიერნი
ჰამბურგი - ვოლფსბურგი
ვერდერი - ჰერტა
გლადბახი - ნიურნბერგი
ფრაიბურგი - დორტმუნდი
კოტბუსი - ზანქტ პაული
შტუტგარტი - ლევერკუზენი
მიუნხენი - შალკე
კიოლნი - ჰანზა

**24 მარტი, 2002**

ლევერკუზენი - მიუნხენი
ზანქტ პაული - შტუტგარტი
დორტმუნდი - კოტბუსი
ჰერტა - ნიურნბერგი
ვოლფსბურგი - ვერდერი
ჰანზა - ჰამბურგი
ბაიერნი - კიოლნი
შალკე - ლაუტერნი
ფრაიბურგი - გლადბახი

**31 მარტი, 2002**

ჰამბურგი - ბაიერნი
ნიურნბერგი - ვოლფსბურგი
გლადბახი - ჰერტა
კოტბუსი - ფრაიბურგი
შტუტგარტი - დორტმუნდი
მიუნხენი - ზანქტ პაული
ლაუტერნი - ლევერკუზენი
კიოლნი - შალკე
ვერდერი - ჰანზა

**7 აპრილი, 2002**

დორტმუნდი - მიუნხენი
ფრაიბურგი - შტუტგარტი
ვოლფსბურგი - ჰერტა
ჰანზა - ნიურნბერგი
ბაიერნი - ვერდერი
შალკე - ჰამბურგი
ლევერკუზენი - კიოლნი
ზანქტ პაული - ლაუტერნი
კოტბუსი - გლადბახი

**14 აპრილი, 2002**

ნიურნბერგი - ბაიერნი
გლადბახი - ვოლფსბურგი
შტუტგარტი - კოტბუსი
მიუნხენი - ფრაიბურგი
ლაუტერნი - დორტმუნდი
კიოლნი - ზანქტ პაული
ჰამბურგი - ლევერკუზენი
ვერდერი - შალკე
ჰერტა - ჰანზა

**21 აპრილი, 2002**

კოტბუსი - მიუნხენი
გლადბახი - შტუტგარტი
ბაიერნი - ჰერტა
შალკე - ნიურნბერგი
ლევერკუზენი - ვერდერი
ზანქტ პაული - ჰამბურგი
დორტმუნდი - კიოლნი
ფრაიბურგი - ლაუტერნი
ვოლფსბურგი - ჰანზა

**27 აპრილი, 2002**

ვოლფსბურგი - ბაიერნი
მიუნხენი - შტუტგარტი
ლაუტერნი - კოტბუსი
კიოლნი - ფრაიბურგი
ჰამბურგი - დორტმუნდი
ვერდერი - ზანქტ პაული
ნიურნბერგი - ლევერკუზენი
ჰერტა - შალკე
ჰანზა - გლადბახი

**4 მაისი, 2002**

გლადბახი - მიუნხენი
შალკე - ვოლფსბურგი
ლევერკუზენი - ჰერტა
ზანქტ პაული - ნიურნბერგი
დორტმუნდი - ვერდერი
ფრაიბურგი - ჰამბურგი
კოტბუსი - კიოლნი
შტუტგარტი - ლაუტერნი
ბაიერნი - ჰანზა

ლევან ცაბაძე

# ეს ლეონსიოა! ამას აფიშირება არ სჭირდება



**საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატი დასრულდა. ჩვენი ლეგიონერებიც ნელ-ნელა უბრუნდებიან საქართველოს. ვიცოდით, რომ ლევან ცაბაძეც ჩამოვიდა, მაგრამ მისი მოხელთება საკმაოდ გაგვიჭირდა: დიდი ხნის უნახავ მეგობარ-ნათესავების გარემოცვაში თითქოს სადღაც გაუჩინარდა. ბოლოს ლეონსიოს რაგბის კავშირში მივაგენით. მიუხედავად იმისა, რომ იმ დღეს ლევანის უმცროსი შვილის, დიანას დაბადების დღე იყო და ცაბაძეების ოჯახი სტუმრების დასახვედრად ემზადებოდა, იგი მაინც დაგვთანხმდა ინტერვიუზე. თავდაპირველად საუბარი მის კლუბ „კასტრს“ შეეხო**

— „კასტრი“ საფრანგეთში დიდად პოპულარულია. ერთი პატარა ქალაქის გუნდია. ადრე საკმაოდ სუსტი იყო, ლიგიდან გასავარდნად ჰქონდა საქმე. ერთხანს, 1988 წელს, „ნაციონალი 2“-ში გამოდიოდა, მაგრამ შემდეგ საკმაოდ ძლიერი მეპატრონე გამოუჩნდა და კლუბის აღმასვლაც დაიწყო. „კასტრი“ „პიერ ფაბრის ლაბორატორიამ“ ჩაიბარა. ასე ეწოდება კომპანიას, რომელიც სამედიცინო მედიკამენტებისა და კოსმეტოლოგიური საქონლის დამზადებით არის დაკავებული. გუნდში მორაგბეებიც შეიცვალნენ და მწვრთნელიც. ნაბიჯ-ნაბიჯ მიიწევდა წინ „კასტრი“. იმავე წელს „ნაციონალ 2“-ის ჩემპიონი გახდა, მომდევნო სეზონში კი უკვე „ნაციონალ 1“-ში მიაღწია პირველობას. 1991 წელს ელიტაში აღზევდა, 1992-ში მეოთხედფინალშიც გავიდა, 1993-ში კი საფრანგეთის ჩემპიონობასაც შესწვდა.

წლეულს კლუბის ხელმძღვანელობამ მინიმუმ ნახევარფინალისტობა დაგვისახა მიზნად, რასაც მივაღწიეთ კიდეც. ჩვენი წარმატება დამსახურებული იყო. ძალიან პრინციპული მატჩები მოვიგეთ, მაგალითად, შარშანდელი ჩემპიონი „სტად ფრანსე“ დავამარცხეთ. ჯგუფში პირველი ადგილი დავიკავეთ. ამის შემდეგ პლეი ოფში დაღმასვლა დაგვეტყო და „ტულუზთან“ დავმარცხდით, რომელიც ჩემპიონი გახდა. არადა, „მონფერანმა“ სადაც დაიჭირა, იქ მოუგო, მაგრამ ფინალში „ტულუზმა“ ძალები მოიკრიბა და ის შენი „მონფერანი“ ბეჭებზე გააკრა. საერთოდ საფრანგეთის ჩემპიონატი საკმაოდ გრძელი და დამღლელია. ჩემპიონობის შანსი შეიძლება მაჩანჩალა გუნდსაც გაუჩნდეს. მაგალითად, შარშან „სტად ფრანსე“ აუტსაიდერი იყო, მაგრამ ბოლო ტურებში საქმე იმგვარად მოუტრიალდა, რომ პლეი ოფში სასწაულებრივ გააღწია და ჩემპიონიც გახდა. ასე რომ, ცოტა უცნაური პირველობა აქვთ ფრანგებს, ვერ გაიგებ, ვის რა დროს გაუმართლებს.

**— კლუბის ხელმძღვანელობა კმაყოფილი დარჩა შედეგით?**

— დიახ, მორაგბეებთან არაფერი ჰქონდათ სასაყვედურო. გული კი დასწყდათ, ჩემპიონები რომ ვერ გავხდით, მაგრამ როდესაც სეზონის ანალიზი გააკეთეს, შედეგმა დააკმაყოფილათ.

**— „კასტრი“ ახლოს გაგვაცანი.**

— „კასტრი“ რაღაც უცნაური გუნდია. თვითონ რეგიონიც თავისებურია. ძალიან ძნელია გარემოსთან ადაპტირება, მაგრამ თუ შეეგუე, უკვე ძნელია იქიდან წასვლა. თვითონ კლუბიდანაც იოლად არ გაგიშვებენ, ნამუსზე შეგაგდებენ. მე მქონდა მოწვევები ინგლისური კლუბებიდან, მაგრამ „კასტრს“ ვერ შეველიე. უბრალოდ, ბევრი ადამიანური ნიუანსებია თვითონ გუნდში და მორაგბეთა ურთიერთობაში.

გარდა ამისა, ყველამ იცით, რომ ფეხბურთელებივით მილიონებს არ ვეთამაშებით. „კასტრში“ ნორმალური პირობები მაქვს. სპორტსმენის კარიერა ხანმოკლეა და ყველანაირად ცდილობ მაქსიმალურად გამოიყენო ის დრო. ერთადერთი, რაც „კასტრს“ აკლია, ეს ფსიქოლოგიური მომზადებაა. თითქოს რაღაც ბოლომდე არ ვართ ჩვენს თავში დარწმუნებულები, თორემ ყველანი ერთ მუშტად ვართ შეკრული. თუმც წლიდან წლამდე ძალიან ვუმატებთ და მჯერა, რომ ახლო მომავალში საფრანგეთის ჩემპიონიც გავხდები.

**— „კასტრში“ ბევრი მეგობარი გეყოლება...**

— პალიკო ჯიმშელაძეზე არაფერს ვამბობ. პალიკო ჩემი ძმაა, ოცდაოთხი საათი ერთად ვართ, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ. ბოლოს და ბოლოს ორივე რუსთაველები ვართ და ამით ყველაფერი ნათქვამია. საერთოდ მთელი გუნდი ვმეგობრობთ, მაგრამ განსაკუთრებით ლეგიონერებს დავუახლოვდი. ახალზელანდიელები — ნორმ ბერიმენი და კელი რილინგსტონი, ირლანდიის ნაკრების კაპიტანი ჯერემი დევიდსონი და შოტლანდიელი გრეგორი თაუნსენდი ჩემი უახლოესი მეგობრები არიან. გრეგორი თაუნსენდი მსოფლიო რაგბის ვარსკვლავია, მაგრამ ისეთი ალალი და თავმდაბალია, რომ იფიქრებ, ახლა იწყებს რაგბის თამაშსო. ნამდვილი ქართველივითაა. საერთოდ შოტლანდიელები რაღაცით ჰგვანან ქართველებს. ადგილობრივებთანაც მაქვს ახლო ურთიერთობა. განსაკუთრებით უკანახაზელ ფრანსუა პლისონს შევეწყვე. მისი დაოჯახება კი ჩემი და პალიკოს დამსახურებაა.

**— ეგ როგორ?**

— ფრანსუას მეუღლე, სანამ დაქორწინდებოდნენ, სულ ჩემთან და პალიკოსთან იყო. ბარში, სახლში, ქალაქის დასათვალიერებლად, მუდამ თან დაგვდევდა. ძალიან უყვარს ფრანსუა და კარგად იცოდა, რომ თუ მისი ნახვა უნდოდა, უეჭველად ჩვენთან შეხვდებოდა. ასე რომ, ჩვენ დავაახლოვეთ. სხვათა შორის, ორივე ძალიან გვემადლიერებიან. ოჯახებით ვმეგობრობთ.

**— წელან თქვი, კასტრი ისეთი ქალაქია, ადაპტაცია ძალიან გაგიჭირდებაო. შენ თვითონ აგერ უკვე სამი წელია, „კასტრში“ ხარ. ქალაქთან შეგუება არ გაგიჭირდა?**

— ნაწილობრივ. იქ ცხოვრების სხვა ადათ-წესები აქვთ, მაგრამ როდესაც კარგი პირობები გაქვს და იქ მოხვდები, სადაც გინდოდა, ყველაფერს უნდა შეეგუო. ისე, ძალიან მენატრება საქართველო, ნეტავ, აქ იყოს დალხენილი ცხოვრება და მორაგბეებს იმის ნახევარი პირობები მაინც ჰქონდეთ, როგორიც „კასტრში“. თუნდაც ხელფასი იყოს გაცილებით ნაკლები, მე პირდაპირ გეუბნებით, რომ საქართველოში ჩამოვალ და ეროვნულ ჩემპიონატში ვითამაშებ. პირველი ორი წელიწადი მარტო ვიყავი კასტრში, შარშან, სექტემბრის ბოლოს კი ოჯახიც ჩავიყვანე და ცხოვრებაც გახალისდა. მანამდეც მინდოდა ამის გაკეთება, მაგრამ არ ხერხდებოდა. შარშანდლიდან კი ერთად ვართ მე, მეუღლე და ორი შვილი. უფროსი დიმიტრი ოთხი წლისაა, უმცროსი დიანა კი ორის.

**— ოჯახი როგორ შეეგუა იქაურობას?**

— დიმიტრიმ მეგობრები გაიჩინა და კარგადაც ერთობა. დიანაც ახერხებს რაღაცას. თავიდან არავის იცნობდნენ და ლობეზე გადაკიდებულები ქუჩაში გამვლელ-გამომვლელს ელაპარაკებოდნენ. დიანამ არ იცის ფრანგული, დიმიტრი დამტვრეული ფრანგულით რაღაცას აგებინებდა, ასე ნელ-ნელა შემოიტყუებდნენ ეზოში და მიდიოდა ცეკვა-თამაში. რაც ჩემი შვილები ჩამოვიდნენ, იმის შემდეგ გავიცანი მეზობლები, თორემ მანამდე მარტო გამარჯობას ვეუბნებოდით ერთმანეთს. ახლა მთელი სამეზობლოს ბავშვები ჩვენთან იყრიან თავს. სხვათა შორის, დიანას და დიმიტრის მეშვეობით ერთი ქართველი მანდილოსანი გავიცანი, რომელიც თურმე სულ რაღაც ორმოცდაათ მეტრში ცხოვრობდა. ბავშვების ძებნაში მთელი უბანი შემოვიარე, ბოლოს სწორედ ქალბატონ ჯულიეტას სახლში მივაგენი. იგი ბათუმში დაბადებულ-გაზრდილია, ქმარი ფრანგი ჰყავს და საცხოვრებლად კასტრში გადასულა. სულ საქართველოზე ვსაუბრობთ. მოკლედ, ჯულიეტა ჩემი შვილების და ძაღლის მეშვეობით კარგად ერთობა.

**— ძაღლიც გყავს?**

— კი, ბოქსიორი, ადოლფი ჰქვია. დიდი უბედურის ერთია. სულ სეირნობა უნდა. მაგას ცალკე მომვლელიც არ ეყოფა.

**— ბავშვები ბაღში დადიან?**

— მინდოდა, მიმეყვანა. დიანა ბაღში, დიმიტრი სკოლაში, მაგრამ მასწავლებლებთან კონსულტაციის შემდეგ გადავიფიქრე. ვინაიდან ენობრივი ბარიერი არსებობს, გვირჩიეს, რომ ბავშვებთან ერთად გვევლო ბაღში და სკოლაში. აბა, ამის დრო სად მაქვს?!

**— კი მაგრამ, დიმიტრი ხომ ჯერ მხოლოდ ოთხი წლისაა...**

— საფრანგეთში ბავშვები სამი წლის ასაკიდან მიდიან სკოლაში.

**— მეუღლე ქართული კერძებითაც განებივრებს?**

— თავადაც მეხერხება სამზარეულოში ტრიალი. ჩვენი ბიჭები მე და მევლუდ მთიულიშვილს ხინკალს გვიქებენ, მაგრამ მევლუდს ვერ შევედრები, იმან ორსართულიანის გაკეთება იცის.

**— სამზარეულო ვისი უკეთესია, ჩვენი თუ ფრანგების?**

— ქართული მირჩევნია. ისე, მევლუდთან სულ ვკამათობ. იმას ფრანგული უფრო მოსწონს.

**— ღვინო?**

— ჩვენი მასალა საუკეთესოა, მაგრამ იქ დაყენების პროცესი აქვთ დახვეწილი. მე საერთოდ არაყი მიყვარს. ქართულ ჭაჭას ვერაფერს შევადარებ.

**— თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

— ოჯახთან და ადოლფთან ერთად სასეირნოდ დავდივარ. თვეში ოთხჯერ კინოთეატრების სტუმარიც ვარ, ბოულინგსაც ვთამაშობ. გასართობს და თავშესაქცევს რა გამოლევს.

**— ქეიფი გიყვარს?**

— ქართველ კაცს ეგ არ უნდა უყვარდეს? გამონაკლისი არც მე ვარ. ზოგჯერ ყოფილა, ბოლომდე გავყოლილვარ სუფრას, მაგრამ ეს მაშინ ხდებოდა, როდესაც შვებულებაში ვიყავი. საფრანგეთში თუ სადმე ქართველს დავლანდავ, ეგრევე რესტორანში ვეპატიჟები. ერთხელ სუხიშვილების აკადემიური ბალეტი იყო ჩამოსული. იქ ბლომად რუსთაველები ცეკვავენ. ჩემი მეგობარი გია სარდლიშვილიც ჩამოჰყვა ანსამბლს. კონცერტით მაგრად ვისიამოვნე, ფრანგები ხომ მთლად გაგიჟდნენ. კონცერტის შემდეგ გიას რესტორანში მივაქანებდი, მაგრამ უარზე იყო, არ შეიძლება, მკაცრ რეჟიმში ვართო. გიასთან რომ ვერაფერს გავხდი, მის ხელმძღვანელს, ბატონ თენგიზ სუხიშვილს ვთხოვე, გია ცოტა ხნით გაათავისუფლეთ, ჩემთან ერთად იქნება-მეთქი, მაგრამ აქედანაც არაფერი გამოვიდა.

**— ლევან, შენ რუსთავის სარაგბო გუნდს დიდი დახმარება გაუწიე, ეკიპირება საფრანგეთიდან გამოუგზავნე, ჩემპიონატში სამონაწილეო თანხაც შენი ჯიბიდან გადაუხადე...**

— ამას აფიშირება არ სჭირდება. მე ვალდებული ვიყავი, ეს გამეკეთებინა. ამიერიდან რუსთავის გუნდს კიდევ უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევთ. მევლუდ მთიულიშვილმა, პალიკო ჯიმშელაძემ, გოდერძი შველიძემ და მე ასე მოვილაპარაკეთ.

**— რუსთავში ძალიან პოპულარული ხარ...**

— ჰო, ოღონდ საგზაო ინსპექტორები ვერ მცნობენ. ახლახან რუსთავის და თბილისის საზღვარზე ინსპექტორმა გამაჩერა, საბუთები უნდა შეგიმოწმოო, მე კი მინდობილობა დავკარგე და რა უნდა მეჩვენებინა. ვეუბნები, ლევანი ვარ ცაბაძე, ხომ მიცნობ, გამიშვი-მეთქი. არ გიცნობო და მანქანა საჯარიმოზე დამიყენა. ვდგავარ ახლა და ველოდები როდის მოლბება ეს ინსპექტორი. ფული პრინციპულად არ მივეცი. უცებ მისი უფროსი გამოჩნდა. ამანაც დაიტრაბახა, ნახე, უფროსო, მანქანა შევაყენე „შტრაფნოიზეო“. მიყურებს ეს უფროსი, მიუბრუნდა თავის ქვეშევრდომს, ახლავე დაუბრუნე გასაღები, თორემ მე შენ [illegible] შტრაფნოისო“.

ადრე რუსთავში გამაჩერეს. ესპანეთთან სათამაშოდ ვემზადებოდი. მაშინ მართლა დამნაშავე ვიყავი, სიჩქარეს გადავაჭარბე. ბევრი არ მიფიქრია, ეგრევე ქართულად მოვუგვარე საქმე, ფული მივეცი. მატჩის დღეც დადგა. მე ჩემი მანქანით — „ნივით“ მივედი სტადიონზე, გავიხედე, ის ინსპექტორიც იქ დგას. საქარე მინა მქონდა დაწეული და იმანაც მიცნო. შენ ხარ ლევან ცაბაძეო? კი-მეთქი. ერთი არ მოგიგიათ, სამუდამოდ ჩამოგართმევ მართვის მოწმობასო.

**— საფრანგეთში რა მანქანა გყავს?**

— „სიტროენის“ ფირმის „პიკასოს“ მოდელი. კარგი რამეა. ოჯახისთვის საუკეთესო მოდელია.

**— ჩქარი სიარული გიყვარს?**

— ხანდახან.

**— ცნობილია, რომ ჭიდაობიდან მოხვედი რაგბიში, იქ თუ გქონდა მიღწევები?**

— თხუთმეტი წლისამ ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში თანატოლთა საერთაშორისო ტურნირი მოვიგე. ოთხმოცდაათ კილოგრამამდე კატეგორიაში გამოვდიოდი. სხვათა შორის, მანამდე ვიოლინოზე დავდიოდი. ისე, ჩემთვის გაუსვამ-გამოუსვამდი ხემს, საშინელი მევიოლინე ვიყავი.

ერთხელ ვიღაც ბიჭებთან ჩხუბი მომივიდა და ნაცემი დავრჩი. ამის შემდეგ ჭიდაობაზე დავიწყე სიარული, ხურდის დაბრუნება მინდოდა. პირველივე ვარჯიშზე ყურის ხრტილი მოვიტეხე. უნდა გენახათ, რა დაემართა ცხონებულ დედაჩემს, როდესაც შინ დავბრუნდი: შვილო, იქ რა გინდა, ხეიბარი დარჩებიო. რაგბიში რომ გადავედი, მაშინაც სასტიკი წინააღმდეგი იყო. ჩემს მწვრთნელებს — დავით კაკაბაძეს, იგივე „შოროს“ და საშა ლობჟანიძეს შინ ურეკავდა, რაგბისთვის თავი დაანებებინეთ, შვილს ნუ მომიკლავთო (*ამ სიტყვებზე ლევანს თვალებზე ცრემლი მოადგა, წუთიერი პაუზის შემდეგ კი ისევ განაგრძო*). გული მტკივა. დედაჩემი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ჩემი დარდი გაჰყვა. მაშინ ძალიან მიჭირდა. ხანდახან პურის ფული არ მქონდა. არადა, მეუღლე ფეხმძიმედ იყო. ბანკში დავიწყე მუშაობა, დაცვაში ვიყავი. ხელფასი ასი ლარი მქონდა. გზის ფულად არ მყოფნიდა. საფრანგეთში წასვლის ვარიანტი რომ გამოჩნდა, ბილეთის ფულს დავეძებდი. ბოთლებსაც კი ვაბარებდი, ბილეთის ფული რომ შემეგროვებინა...

**— როგორც ვიცი, საფრანგეთის მოქალაქეობასაც გთავაზობდნენ?**

— ეგეც იყო. მაშინ „ნარბონში“ ვთამაშობდი. რამდენჯერმე მოვიდა ჩემთან კლუბის მენეჯერი, საფრანგეთის მოქალაქეობა მიიღეო. სანაცვლოდ კი ოქროს გორებს მპირდებოდნენ, საფრანგეთის ნაკრებშიც გათამაშებთო, მაგრამ ყოველთვის უარით ვისტუმრებდი. მე ქართველი ვარ და საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ვითამაშებ. სიტყვებს რომ ჰაერზე არ ვისვრი, ამას დავამტკიცებ კიდეც. რა ვქნა, მიყვარს ჩემი ქვეყანა თავისი ავ-კარგით. აბა, ამდენი სიბინძურე სად ხდება, როგორც ჩვენში, მაგრამ მე ჩემი ცუდი მირჩევნია იმათ საუკეთესოს. ეს დრომ მოიტანა. ალბათ, რომ გვიჭირს, იმიტომ ხდება უმსგავსობა, თორემ შენ რა გგონია, იქ არ არის კორუფცია? მაგრამ იქაურმა იცის, თუ საქმეს არ გააკეთებს, სანაგვეზე მოისვრიან. თანაც იქ ეროვნული გრძნობა აქვთ ძვალ-რბილში გამჯდარი.

კასტრში სულ არ იციან, ფეხბურთი რა არის. მთელი ქალაქი რაგბიზეა შეყვარებული. მახსოვს, ევროპის საფეხბურთო ჩემპიონატის ნახევარფინალის, პორტუგალია — საფრანგეთის ტრანსლაციას ერთ-ერთ ბარში ვუყურებდი. „კასტრის“ მთელი ფრანგი მორაგბეები იქ იყვნენ და თავის ქვეყნის გუნდს გულშემატკივრობდნენ. ზოგმა წესებიც არ იცოდა, გოლი რამდენქულიანიაო, კითხულობდნენ, მაგრამ ფეხბურთელს მაისურაზე მამალი რომ ეხატა, იმიტომ გულშემატკივრობდნენ. ასეა ყველა სახეობაში.

ალბათ, აქაც მოვა დრო, როდესაც ყველა ერთად დავდგებით, ფეხბურთელებიც, მოჭიდავეებიც, მორაგბეებიც და ჩვენს საკეთებელს პირნათლად გავაკეთებთ არა ერთმანეთის ჯიბრზე, არამედ ერთმანეთის სიყვარულით.

**ბაჩო სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალგაზრდებმა უფროსები საკონტროლოში ჩაჭრეს

**11 ივნისს** საბერძნეთის დედაქალაქ ათენში დაიწყება და ხუთ დღეს გასტანს ევროპის 2002 წლის ახალგაზრდული ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც მიიღებს მონაწილეობას. ექვსგუნდიან ჯგუფში, რომლის ორი საუკეთესო ნაკრებიც ფინალური ეტაპის საგზურს მოიპოვებს, ჩვენებურთა მეტოქეები იუგოსლავიის, საბერძნეთის, ინგლისის, პორტუგალიისა და გერმანიის ნაკრებები იქნებიან. პირველად ქართველები გერმანელ თანატოლებს შეხვდებიან. ამ ტურნირისათვის მზადება ჩვენმა ნაკრებმა ეროვნული გუნდის თავკაცის, ზურაბ ტომარაძის ხელმძღვანელობით უკვე კვირაზე მეტია, რაც ვერის ბაღის საკალათბურთო დარბაზში დაიწყო. საბერძნეთში სხვებთან ერთად პირველი ნაკრების სამი ახალგაზრდა — ზაზა ფაჩულია, ნიკა ცქიტიშვილი და დავით უგრეხელიძეც გაემგზავრება. გუშინ კი ახალგაზრდები ქვეყნის უპირველეს გუნდს საკონტროლოდ გაეჯიბრნენ.

ზემოთ ნახსენებ სამეულს სტუელები — ლაშა ლოსაბერიძე და ბუბა ბერიშვილიც დაემატნენ და ახალგაზრდებმა თამაში დაიწყეს. მთავარი მწვრთნელის გარეშე დარჩენილმა თანაშემწემ ნუგზარ კანდელაკმა მათ წინააღმდეგ დავით თორთლაძე, რამაზ გოგობერიშვილი, ნუგზარ კოკოლიშვილი, ვახტანგ ნაცვლიშვილი და კახა შენგელია გაიყვანა, რომლებსაც დროდადრო არჩილ ჟღენტსა და დავით მუშკუდიანს უნაცვლებდა. თავიდან უფროსები გაცილებით უკეთ ირჯებოდნენ და ანგარიშშიც დაწინაურდნენ, მაგრამ მალე ახალგაზრდებიც ათამაშდნენ და მოწინააღმდეგე უკან მოიტოვეს. ზაზა ფაჩულია და ნიკა ცქიტიშვილი ფარზე გაბატონდნენ და მოწინააღმდეგის კალათში ბურთებს პანტაპუნტით ყრიდნენ. ზურაბ ტომარაძემ ეს მატჩი ვარჯიშებზე დამუშავებული კომბინაციების სრულყოფისთვის კარგად გამოიყენა. მწვრთნელს მოედანზე მონაცვლეობით შეჰყავდა ირაკლი კეიდია, გიორგი მარკოიშვილი, ირაკლი შანიძე, კოტე ტუღუში და ზვიად ბაბიაშვილი. რაც შეეხება მისი გუნდის კიდევ ერთ წევრს — ბაჩანა სულაძეს, მას ხელის ტრავმა აწუხებდა და ვერ ითამაშა.

მართალია, მატჩი მოსამზადებელი იყო და არანაირი პრინციპული მნიშვნელობა არ ჰქონდა, მაგრამ საათენოდ გამზადებულებმა თავი გამოიდვეს და უფროსები 24 ქულის სხვაობით დაამარცხეს.

**ირაკლი ბერტაია**

# პორტლენდმა თავი მოიბა



მორის ჩიკსი

**მაიკ დანლივის** გაშვებისა და შვიდკვირიანი ლოდინის შემდეგ, როგორც იქნა, „პორტლენდ თრეილ ბლეიზერსმა“ მოაბა საქმეს თავი. ორი დღის წინ „პორტლენდის“ გენერალურმა მენეჯერმა ბობ ვიტსიტმა ხალხს „ბლეიზერსის“ ახალი მთავარი მწვრთნელი — მორის ჩიკსი წარუდგინა, კაცი, რომელსაც ჯერ ნბა-ს არც ერთი გუნდი არ გაუწვრთნია. ბოლო შვიდი წლის განმავლობაში იგი „ფილადელფია სიქსერზის“ თავკაცების ასისტენტი გახლდათ. ჩიკსმა „პორტლენდთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი დადო. არც მწვრთნელი და არც მისი კლუბი ხელშეკრულების პირობებს არ ახმაურებენ, თუმც ხმები დაირხა, ჩიკსი ამ ოთხი წლის განმავლობაში ხელფასის სახით რვიდან ათ მილიონ დოლარამდე მიიღებსო.

ისევე, როგორც მწვრთნელთა სრულ უმრავლესობას, აწ 44 წელს მოყრილ ჩიკსს ჯეელობაში კალათბურთიც უთამაშია და, ბევრი კოლეგისგან განსხვავებით, საკმაოდ რიგიანადაც. იგი ამპლუით გამთამაშებელი გახლდათ და ლიგის ერთ-ერთ უძლიერეს დაცვით მოთამაშედაც ითვლებოდა. ჩიკსი 15 წლის განმავლობაში ნბა-ს დაბალ კალათბურთელთა რისხვა იყო, აქედან 11 წელი „ფილადელფიას“ მეტოქეებს უშრობდა სისხლს. ჩიკსი ოთხგზის ოლსტარელია, ლიგის ყველა დროის უძლიერესი ჩამჭრელი და მოზეს მელოუნისა და ჯულიუს ირვინგის შემდეგ სწორედ იმ „ფილადელფიის“ მესამე ლიდერი გახლდათ, რომელმაც 1983 წელს პლეი ოფში 12 მოგებასთან ერთად მხოლოდ ერთი თამაში წააგო და გარდა იმისა, რომ ჩემპიონი გახდა, ყველა დროის პლეი ოფების რეკორდიც დაამყარა. ეს რეკორდი 15 გამარჯვებითა და ერთი წაგებით წლეულს „ლეიკერსმა“ გააუმჯობესა. სხვათა შორის, 1983 წელს ჩიკსის „ფილადელფიამ“ 4:0 გაანადგურა „ლეიკერსი“, წლეულს პირიქით მოხდა — ფინალური სერია „ფილადელფიამ“ 1:4 წააგო „ლეიკერსთან“.

როგორც მწვრთნელს, ჩიკსს ყველა ნაცნობი აქებს, მიუხედავად იმისა, რომ ის არასდროს ყოფილა რომელიმე გუნდის თავკაცი. „პორტლენდის“ ახალ დამრიგებელს შრომისმოყვარეობას, პროფესიონალიზმსა და დაცვითი თამაშისადმი სიყვარულს უქებენ და დიდებულ სამწვრთნელო კარიერასაც უწინასწარმეტყველებენ. „ის ყოველთვის ოცნებობდა, კალათბურთის დიდების დარბაზში მოხვედრილიყო. როგორც კალათბურთელი, ჩიკსი დიდებული იყო, მაგრამ, ვფიქრობ, როგორც მწვრთნელს, უფრო აქვს დარბაზში მოხვედრის შანსი“ — ამბობს „ფილადელფიის“ კაპიტანი ერიკ სნოუ, რომელიც სწორედ ჩიკსს უთვლის დამსახურებად „სიქსერზის“ ბევრი კალათბურთელის, მათ შორის საკუთარი თავის კარგ მოთამაშედ ჩამოყალიბებას — მწყინს, რომ იგი ჩვენგან წავიდა“.

თავად ჩიკსი თავმდაბლობს და აცხადებს: „აქ იმისთვის არ მოვსულვარ, რომ საკუთარი თავი განვადიდო. ჩვენ უბრალოდ კალათბურთი უნდა ვითამაშოთ და რაღაცის გაკეთება ვცადოთ. ვფიქრობ, მე კალათბურთელებს წარმატების მიღწევაში დავეხმარები და პირიქით“.

ჩიკსის უმთავრესი თავსატკივარი სწორედ კალათბურთელები არიან, რომელთა უმეტესობას ვარსკვლავური სენი მოერია და სწორედ ამან დააუძლურა წლეულს საჩემპიონოდ შემართული „ბლეიზერსი“. გაზულუქებულმა ვარსკვლავებმა (ისინი აქ უფრო მეტნი არიან, ვიდრე ნებისმიერ სხვა გუნდში) შეიწირეს ძველი მწვრთნელი მაიკ დანლივი. რაშიდ ვოლესმა წლეულს უფრო გაზარდა სეზონში მიღებულ ტექნიკურთა რიცხვი და სულ 41 ტექნიკურით ნბა-ს ყველა დროის რეკორდი მოხსნა. ოცი კილოგრამით დამძიმებული, ოდესღაც მფრინავი შონ კემპი მარიხუანასაც გაუშინაურდა, „პორტლენდის“ კუთვნილ კალათბურთელთა დიდი ნაწილი დაცვაში თამაშს უკადრისობს, შეშფოთებულ „პორტლენდის“ მამებს კი ჩიკსის დიდი იმედი აქვთ.

**ივანე კობიაშვილი**



ჯეისონ კიდი (№32) და სტივენ მარბერი მალე გაიცვლებიან

# ლიდერთგაცვლა

## კიდი და მარბერი ერთმანეთის ადგილებს დაიკავებენ

**სამი** დღის წინ ნიუ იორკში ჩატარებულმა 2001 წლის დრაფტმა, რომელიც ისტორიაში შევა, როგორც ყველაზე გადარეული დრაფტი, გვარიანად გაახალისა ოკეანგაღმა საკალათბურთო საზოგადოება. თუმც ისე ჩანს, ამ სეზონთაშორის პერიოდში სხვაც ბევრი საინტერესო მოხდება და მოსაწყენად არავის ეცლება.

ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია 18 ივლისამდე კრძალავს კალათბურთელებსა და კლუბებს შორის ხელშეკრულების გაფორმებას, რადგან ლიგას ჯერ არ დაუდგენია მომავალი სეზონის ჯამური სახელფასო ფონდი, რომელიც ბევრად განსაზღვრავს კალათბურთელთა კონტრაქტების სარფიანობას. 18 ივლისამდე ორ კვირაზე მეტი რჩება, თუმც ზოგიერთი გუნდი ამას არ დაგიდევთ და რამდენიმე მათგანი წინასწარ მორიგებულა ერთმანეთში. მათ შორის ერთი უმსხვილესი გაცვლაა, რომლის დარიც ყოველ წელს როდი ხდება.

დრაფტის შემდეგ ორი კლუბის — „ნიუ ჯერსი ნეთსისა“ და „ფინიქს სანზის“ ბოსებმა, როდ თორნმა და ჯერი კოლანჯელომ, ბევრი იბჭეს თუ ცოტა, გადაწყვიტეს, ერთმანეთში გაეცვალათ თავიანთი გუნდების ლიდერები, სტივენ მარბერი (ნიუ ჯერსი) და ჯეისონ კიდი (ფინიქსი). „ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ, სანამ ამ გადაწყვეტილებამდე მივიდოდით. ხუმრობა ხომ არაა, ერთმანეთში იცვლება ლიგის სამი უძლიერესი გამთამაშებლიდან ორი. როდესაც ასეთ საქმეს აგვარებ, ნებისმიერი წვრილმანი უნდა გაითვალისწინო. ჩვენ ხომ ამას უკეთესი მომავლისთვის ვაკეთებთ. ვფიქრობ, თანაბარი გაცვლაა და ორივე მხარე კმაყოფილი დავრჩებით“ — ამბობს „ფინიქსის“ მფლობელი და პრეზიდენტი ჯერი კოლანჯელო.

გაცვლამ, რომელიც არსებითად ჯერ მხოლოდ წინასწარი შეთანხმებაა და მასში კიდისა და მარბერის გარდა, ალბათ, წვრილფეხობაც მიიღებს მონაწილეობას, უკვე დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. ბევრი თვლის, რომ ფინიქსელები შეცდნენ, რადგან დღესდღეობით კიდი მარბერიზე უკეთესია. ცნობისთვის: იგი ბოლო სამი წელია, ლიგის პირველი მეპასეა, ეს კი ნბა-ს ისტორიაში მხოლოდ სამ კაცს — ბობ კოუზის, ოსკარ რობერტსონსა და ჯონ სტოქტონს გაუკეთებია. კიდი თავისი ამპლუის კვალობაზე ტანმაღალია (193 სანტიმეტრი) და ერთობ ღონიერიც, ლიგის გამთამაშებლებში საუკეთესო მეპასეობასთან ერთად უძლიერესი მომხსნელიცაა, ამასთან, ნამდვილი ლიდერია და აკი სიდნეის ოლიმპიადაზე ამერიკელთა ნაკრების ერთ-ერთი კაპიტანიც გახლდათ. ვინც „ფინიქსს“ გაცვლაში წაგებულად თვლის, სწორედ კიდის აღმატება მოჰყავს უმთავრეს საბუთად. სხვები კი მიიჩნევენ, რომ გაცვლა სავსებით თანაბარია, რადგან მარბერი კიდზე გაცილებით სწრაფია და ქულებსაც შეუდარებლად მეტს აგროვებს. ამასთან, იგი 24 წლისაა, კიდზე ოთხი წლით უმცროსია და კიდევ შეუძლია განვითარება. სწორედ ეს გაითვალისწინეს ფინიქსელებმა, რომელთაც გაცვლაზე იმან უბიძგა, რომ „სანზმა“ კიდთან ერთად ამოწურა შესაძლებლობები, გუნდი მუდმივად გადის პლეი ოფში, თუმც უმთავრესად პირველივე წრიდან ვარდება.

კმაყოფილია „ნიუ ჯერსიც“, რომელმაც კიდის სახით ნამდვილი ლიდერი იპოვა და ახლა საშუალება ეძლევა, საშუალოზე დაბალი დონის გუნდებიდან საშუალოთა მარაქაში გაერიოს, მერე კი ვინ იცის. ასე რომ, ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას გუნდს ახალი ლიდერი ეყოლება და მასთან ერთად გაჩნდა უკეთესი მომავლის იმედიც.

„ნიუ ჯერსი“ სათამაშო შესაძლებლობებით გვარიანად ჩამოუვარდება „ფინიქსს“. ამიტომ, ბუნებრივია, კიდს არ ესიამოვნა კლუბის გამოცვლა, უფრო კი ის, რომ თავის მოსალოდნელ გადაბარგებაზე საინფორმაციო წყაროებიდან შეიტყო და არა უშუალოდ კლუბის ხელმძღვანელობისგან, ეს კი ფრიად იწყინა. „მე მესმის მისი, ის ნაწყენია და სამართლიანადაც, რისთვისაც ჯეისონს ბოდიშიც მოვუხადე. მას ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ“ — ამბობს ჯერი კოლანჯელო.

ბოლოს ისიც ვთქვათ, რომ ამ გაცვლის უმთავრესი მიზეზი სტივენ მარბერია, რომელიც ამ სეზონში მატჩში საშუალოდ 24 ქულას (კარიერის რეკორდი) აგროვებდა, მაგრამ მაინც არ გახლდათ ლიდერი. ორი წლის წინ „ნიუ ჯერსიში“ „მინესოტადან“ გადასული მარბერი მაშინ კევინ გარნეტის ჩრდილში ყოფნას გაერიდა და რომელიმე სხვა გუნდში სცადა ლიდერობის მოპოვება, თუმც ახლა კი მიხვდა, რომ შეცდა და თავის აგენტს „ნიუ ჯერსიზე“ ღონიერი კლუბის მოძებნა დაავალა. დღესდღეობით, თუმც ჯერ არაოფიციალურად, მაგრამ მაინც ფინიქსელია და ამბობს: „ამ გუნდთან ერთად ჩემპიონი გავხდები“.

„ფინიქსისა“ და „ნიუ ჯერსის“ დარად „ვანკუვერ გრიზლიზი“ და „საკრამენტო კინგზიც“ შეთანხმდნენ სიტყვიერად. კანადურ გუნდში ამ სეზონთაშორის პერიოდში ბევრი რამ შეიცვალა. თითქმის საბოლოოდ გადაწყდა ვანკუვერელი „დათვების“ ამერიკის ქალაქ მემფისში გადაბარგება. „გრიზლიზმა“ ამ დრაფტში ძალიან იაქტიურა და თავი მასშტაბური ვაჭრობით გამოიჩინა, ნადრაფტევს კი „საკრამენტოსაც“ მოურიგდა. გადაწყდა, „ვანკუვერი“ საკრამენტოში ორ გამთამაშებელს მიავლენს — ძირითად მაიკ ბიბის და მის შემცვლელ ბრენტ პრაისს, იქიდან კი ასევე ძირითად გამთამაშებელ ჯეისონ ვილიამსს მიიღებს, რომელსაც ზურგად ვეტერანი ნიკ ანდერსონი მოჰყვება.

**ირაკლი ფირაშვილი**

ჭადრაკი

# ადამსმა ყამირი გატეხა

**მაინცის** საჭადრაკო ფესტივალზე სწრაფ ჭადრაკში ანტრაქტია: ვიშვანათან ანანდი და ვლადიმირ კრამნიკი რაინისპირას ექსკურსიაზე წავიდნენ, ხოლო ფიშერის ჭადრაკს დაუცხრომლად თამაშობდნენ პეტერ ლეკო და მაიკლ ადამსი.

მე-5 და მე-6 პარტიების მიხედვით, ადამსი ნელ-ნელა ალღოს ულებს ბობი ფიშერის მოგონილ ჭადრაკის ნაირსახეობას. ინგლისელი ჯერ შავებით იყო და მაშინვე შეუდგა ფიგურათა პანტაპუნტით გაცვლას, რათა ენდშპილი მიელო. პარტიის დასკვნით სტადიაში თითქოს ლეკოს უნდა ემარჯვა: კუ ჰყავდა მხედრის წინააღმდეგ და ზედმეტი გამსვლელი პაიკი, მაგრამ ადამსმა ის პაიკი შეჭამა, ამიტომ 36-ე სვლაზე ყაიმი გაფორმდა. თეთრებით ადამსი სხვაგვარად მოიქცა, მოსაგებად თამაშობდა, ხოლო რადგან მისი სტიქია ენდშპილი კი არა, ფიგურებით სავსე და ამღვრეული დაფა გახლავთ, თავიდან გაცვლებს მოერიდა. პარტიამ მაინც უფრო პოზიციურ ვითარებაში ჩაიარა, სადაც ადამსმა უპირატესობა მიიღო. თეთრი და შავი ფიგურები (მძიმე, მსუბუქი) კარგახანს მოუღლელად მანევრირებდნენ, დაძვრებოდნენ პაიკთა წყობაში და სუსტ პუნქტებს ეძებდნენ. ბოლოს ხელი უპირატესობის მქონემ, ანუ ადამსმა გამოიღო, დროებით ეტლი გაწირა და შავების ცენტრი მთლიანად გაანადგურა. მატერიალური წონასწორობა არ დარღვეულა. შემდეგ ადამსმა მოიგო პაიკი, ლეკო კი ცოტა ხანს კიდევ ეწინააღმდეგებოდა და 67-ე სვლაზე სრულიად უიმედო პოზიციაში დანებდა. 3,5:2,5 უნგრელის სასარგებლოდ.

**დავით გულუა**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია

## კროკო

### რუსეთი. მე-15 ტური

30 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 001 | კრილია-ფაკელი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 16.00 | 002 | ტორპედო-სატურნი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 16.00 | 003 | ალანია-ტორპედო ზილ | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 16.00 | 004 | ანჟი-როსტსელმაში | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 16.00 | 005 | ლოკომოტივი-როტორი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 16.00 | 006 | ზენიტი-სპარტაკი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 16.00 | 007 | სოკოლი-ჩერნომორეცი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 16.00 | 008 | ცსკა-დინამო | 2,1 | 3,0 | 3,3 |

### შვედეთი. მე-12 ტური

1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 009 | ჰეკენი-ტრელებორგი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 20.00 | 010 | ელფსბორგი-იურგორდენი | 1,95 | 3,2 | 3,4 |

2 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 011 | ჰამარბი-ჰელსინგბორგი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 012 | მალმიო-სუნდსვალი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 22.00 | 013 | იორებრო-ჰალმსტადი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

### ნორვეგია. მე-13 ტური

1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 014 | ბოდიო გლიმტი-სიოგნდალი | 2,2 | 3,1 | 2,8 |
| 21.00 | 015 | ბრინი-ლინი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 21.00 | 016 | მოლდე-ვიკინგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 017 | მოსი-სტაბეკი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 21.00 | 018 | სტრიომგოდსეტი-ოდ გრენლანდი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 21.00 | 019 | [illegible] | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 23.05 | 020 | რუსენბორგი-ბრანი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

### ფინეთი. მე-16 ტური

1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 025 | ატლანტისი-ტამპერე | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 20.30 | 026 | ჰაკა-ლაჰტი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 20.30 | 027 | კუოპიო-ინტერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 20.30 | 028 | როვანიემი-ჯაზი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 20.30 | 029 | ვაასა-იოკერიტი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### ესპანეთის თასი. ფინალი (სევილიაში)

30 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.30 | 030 | სელტა-სარაგოსა | 2,2 | 3,1 | 3,0 |

### ინტერტოტო. II ეტაპი. I მატჩები

30 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 501 | ბაზელი-გრინდავიკი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 20.00 | 502 | სლავენი-ბასტია | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 21.00 | 503 | დინამო (მინსკი)-ჰაპოელი (ჰაიფა) | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 21.00 | 504 | პობედა-რიზე | 1,9 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 505 | ჩელიკი-გენტი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.00 | 506 | შტურმი-ლოზანა | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 23.00 | 507 | ტრუა-ვიტ ჯორჯია | ანგარიში - 5,0 | | |

1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 508 | ოდენსე-აიკ | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 18.00 | 509 | მიუნხენი-სარტიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 19.30 | 510 | სინოტი-უნივერსიტატია | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 20.00 | 511 | ლიეპაია-ჰერენვენი | 3,2 | 3,4 | 1,95 |
| 20.00 | 512 | ზაგლებე-ლოკერენი | 1,95 | 3,3 | 3,3 |
| 20.30 | 513 | სპარტაკი (ვარნა)-ტავრია | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 20.30 | 514 | ტილიგული-ტატაბანია | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.00 | 515 | ცელიე-პეტრჟალკა | 1,8 | [illegible] | [illegible] |
| 21.00 | 516 | პსჟ-ჯაზი (ნეიტრ.) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

30 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 518 | ნამიბია-ალჟირი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 24.00 | 519 | მაროკო-ეგვიპტე | 1,85 | 3,0 | 4,0 |
| 01.00 | 520 | ტრინიდადი-იამაიკა | 2,3 | 3,1 | 2,8 |

1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 521 | კამერუნი-ტოგო | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| 21.00 | 522 | ბურკინა ფასო-სამხრეთ აფრიკა | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 21.00 | 523 | კოტ დივუარი-მადაგასკარი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 21.00 | 524 | ლიბერია-განა | 1,8 | 3,2 | 3,6 |
| 22.00 | 525 | მექსიკა-აშშ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.00 | 526 | სუდანი-ნიგერია | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 23.00 | 527 | ტუნისი-კონგო | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 24.00 | 528 | ურუგვაი-ბრაზილია | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 02.55 | 529 | ჰონდურასი-კოსტა რიკა | 1,9 | 3,0 | 3,8 |

### მსოფლიოს ჩემპიონატი. ჭაბუკები (არგენტინაში). 1/4 ფინალი

1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 534 | | | | |
| 22.00 | 535 | | | | |
| 00.45 | 536 | | | | |
| 00.45 | 537 | | | | |

### ევროპის ჩემპიონატი ქალები (გერმანიაში)

30 ივნისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.10 | 540 | ინგლისი-გერმანია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 17.10 | 541 | შვედეთი-რუსეთი | 1,0 | 1,0 | 1,0 |

1 ივლისი

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.30 | 542 | დანია-ნორვეგია | 1,0 | 1,0 | 1,0 |
| 19.30 | 543 | საფრანგეთი-იტალია | 1,0 | 1,0 | 1,0 |

**ჩოგბურთში უიმბლდონის ტურნირის ფსონებს გაეცნობით ადგილზე**

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის" შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან")
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის" შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა №30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ძოზულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39


ჩოგბურთის მატჩის შეწყვეტის შემთხვევაში მოქმედებს იგივე წესი, რაც ფეხბურთში.

ჩოგბურთის ანგარიშის ფსონი მრავლდება მხოლოდ ანგარიშისაზე, ისევე როგორც შედეგის ფსონი შედეგისაზე. ანგარიშის ფსონის შედეგის ფსონზე გადამრავლება დაუშვებელია.

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება. !

## კროკოს ბიუროთა მისამართები

| | | |
|---|---|---|
| თბილისი | ფურცელაძის ქუჩა №10 | კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში |
| | ალმაშენებლის გამზირი | №2 ცენტრალური ფოსტამტი |
| | გლდანი | I სავაჭრო ცენტრი |
| | ვაჟა ფშაველას გამზირი №46 | მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“) |
| | ნინამძღვრიშვილის ქუჩა №200 | ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში |
| | გურამიშვილის გამზირი №50 | მეტრო „ღრმაღელესთან“ |
| | წერეთლის გამზირი №11 | |
| | ჭავჭავაძის გამზირი № 41 | |
| ქუთაისი | პუშკინის ქუჩა№16 | ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში |
| | ფალიაშვილის ქუჩა№ 27 | |
| გორი | სტალინის ქუჩა №30 | ჭადრაკის კლუბი |
| თელავი | კოსტავას ქუჩა №23 | |
| რუსთავი | შარტავას ქუჩა №7 | |
| ბათუმი | მემედ აბაშიძის ქუჩა №21 | ყოფილი სტალინის ქუჩა |
| | ერას ქუჩა №61 | ყოფილი გორკის ქუჩა |
| | ჯავახიშვილის ქუჩა №78 | |
| | ჭავჭავაძის ქუჩა № 113 | |
| ქობულეთი | ალმაშენებლის ქუჩა №106 | |
| მარნეული | რუსთაველის ქუჩა №39 | |
| ოზურგეთი | გურიის ქუჩა №23 | |

# გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

# ბურკული ეპოქის დასასრული



რეი ბურკი

**დაიბადა** 1960 წლის 28 დეკემბერს ქალაქ მონრეალში (კანადა)
სიმაღლე: 183 სმ, წონა 99კგ.

**კარიერა**
22 სეზონი ნჰლ-ში, 1612 მატჩი, 410 გოლი, 1169 პასი
1979 დრაფტზე მე-8 ნომრად ბოსტონმა აიყვანა
ნჰლ-ს ჩემპიონი 2001 (კოლორადოში)

**პრიზები**
კოლდერ ტროფი (საუკეთესო ახალბედა): 1979
ნოორს ტროფი (საუკეთესო მცველი): 1987, 88, 90, 91, 94
კინგ კლენსი ტროფი (ლიდერული სულისკვეთებისთვის): 1992
ნჰლ-ს პირველი ექვსეული: 1980, 82, 84, 85, 87, 88, 90, 91, 92, 93, 94, 96
„ოლ სტარის" მონაწილე": 1981-2001 (1987 და 95 წლებში არ ჩატარებულა)
კანადის თასი: 1984, 87

**დიდი** ეპოქა დასრულდა. ეპოქა კაცისა, რომელიც ყველა დროის ჰოკეისტთაგან ყველაზე დამსახურებული იყო, მაგრამ მთავარი ჯილდო მხოლოდ 22-წლიანი ლოდინის შემდეგ მოიპოვა. 26 ივნისს, ანუ სტენლის თასის აღებიდან სულ რაღაც 17 დღეში, დიდმა რეი ბურკმა ვაჟკაცური გადაწყვეტილება მიიღო და კარიერის დასრულების თაობაზე გამოაცხადა. იგი უკვე უკვდავეყო, ისევე როგორც ნომერი, რომლითაც ასპარეზობდა — ამიერიდან რიცხვი „77" არც ერთი ბოსტონელის და კოლორადოელის მაისურას აღარ დაამშვენებს. ეს ორივე კლუბი ბურკისთვის მშობლიურია, მაგრამ რეი სულით და გულით მაინც ბოსტონელი დარჩება — მან ხომ მთელი 21 წელი უერთგულა „დათვებს" და კოლორადოში მხოლოდ იმიტომ გადავიდა, რომ დიდი ჰოკეიდან სტენლის თასის გარეშე არ წასულიყო.

...და აი, სამშაბათს 40 წლის ჭაღარაწვერიანი, სამი შვილის მამა, რეი ბურკი ბედნიერებისგან ტიროდა. მან ხომ ყველაფერს მიაღწია კარიერაში, რაც სურდა. „ჯერ კიდევ პატარა, მორცხვი ბიჭი ვიყავი, დიდი ბოსტონის გასახდელში პირველად რომ შევაბიჯე. მჯეროდა, რომ ნჰლ-ში თამაშს შევძლებდი, მაგრამ თუ ასეთ მწვერვალებს დავიპყრობდი, არ მეგონა" — იხსენებდა პრესკონფერენციაზე რეი. მაგრამ ნჰლ-ის დებიუტანტს, რომელმაც ინგლისურად სიტყვაც კი არ იცოდა (ბურკი ფრანგულენოვანი კანადელია პირველივე ნაბიჯიდან ეტყობოდა, რომ დიდი ჰოკეისტი გახდებოდა. და მართლაც, ბურკმა პირველივე სეზონში ახალი რეკორდი დაამყარა ახალბედა მცველებისთვის (65 (17+48) ქულა) და პირველი მოედნის მოთამაშე შეიქნა, ვინაც საუკეთესო ახალბედასთვის დაწესებული „კოლდერ ტროფი" მოიგო.

ამის შემდეგ ბურკმა თანდათან დაიმკვიდრა ადგილი წამყვან მცველთა შორის და 80-იანი წლების ბოლოს ლიგის მშვენებადაც იქცა. მისი ჯილდოებისა და მიღწევების ნუსხას უკვე იხილავდით და აღარ ჩამოვთვლით, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ეს სპორტსმენი სხვა მხრივაა უნიკალური. არ არსებობდა სიტუაცია, რომელშიც ბურკი გუნდს არ გამოადგებოდა.

უმრავლესობაში იყო გუნდი თუ უმცირესობაში, მეტოქის ლიდერი გახლდათ ამოსაკეტი თუ მატჩის ან პერიოდის ბოლო წუთი იყო — ბურკი ყველგან და ყოველთვის ადგილზე იყო. და ეს უმძიმესი შრომისა და გარჯის ნაყოფი უფროა, ვიდრე ღვთიური ნიჭის. ძალიან უნდა გიყვარდეს შენი საქმე, ყინულზე სათამაშო დროის ნახევარს რომ ატარებდე.

და კიდევ ერთი — ბურკი იშვიათად, ძალიან იშვიათად ცდებოდა. არადა, ხუთი წლის წინ ჰოკეიდან მის წასვლაზე ალაპარაკდნენ. ამბობდნენ, ბურკი ის აღარ არის, გუნდის წინამძღოლის როლს ვეღარ ასრულებსო. მცველმა ჩააჩუმა სკეპტიკოსები. კოლორადოს ტრიუმფი მთლიანად მას ეკუთვნის, რადგან მის პარტნიორებს ორმაგად სურდათ გამარჯვება — თავიანთთვის და რეისთვის.

ამიტომაც იყო გულწრფელი ჯო საკიკის ჟესტი, როდესაც მან თასი ბურკს გადააწოდა, ისევე როგორც პატრიკ რუას მატჩისშემდგომი სიტყვები: „ძალიან ბედნიერი ვარ, რომ რეის ასეთი სიხარული ვაჩუქე".

ბურკი კი მიდის, მიდის ტრიუმფისა და თითების მწვერვალზე. მიდის, მიუხედავად იმისა, რომ ორ-სამ სეზონს კიდევ ითამაშებდა და, ალბათ, ისევ რჩეულთა შორის იქნებოდა. მაგრამ მას ჰყავს მეუღლე, სამი შვილი და რეიმაც წასვლა გადაწყვიტა, რათა ოჯახს მეტი ყურადღება დაუთმოს. მან ეს სავსებით დაიმსახურა.

დაბოლოს არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ ნჰლ-ის ისტორიაში ორმა საუკეთესო მცველმა კარიერის უმეტესი ნაწილი სწორედ ბოსტონში გაატარა. პირველი იყო დიადი ბობი ორი, რომელიც ყოველთვის მცველის ეტალონად დარჩება და რომელმაც „დათვებს" სტენლის თასი ორჯერ მოაპოვებინა. მერე კი — რეი ბურკი. მანაც მოაგებინა თასი თავის გუნდს, ოღონდ ეს უკვე კოლორადო იყო. და მაინც, ვიმეორებთ, იგი სულით ხორცამდე ბოსტონელია. ასე რომ არ იყოს, სანუკვარ ჯილდოს მშობლიური გუნდის ქალაქში არ ჩაიტანდა.

**სამველ ლარიბიანი**



რეი ბურკი სტენლის თასს 22 სეზონი ელოდა



# წუთიდან პირველი სლუდნოვი ამოვიდა

**ცურვაში** მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ეროვნული ჩემპიონატი გაუხურებიათ, რომელიც ამავე დროს ფუკუოკაში გამგზავრების მსურველთა შესარჩევი ასპარეზობაცაა. მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის მსურველთაგან ყველაზე მეტად ციმბირელ რომან სლუდნოვს გამოუდვია თავი. 21 წლის ომსკელმა მოსკოვის ოლიმპიურ აუზში 100 მეტრზე ბრასით ნახევარფინალური გაცურვისას მსოფლიოს რეკორდი დაამყარა — 1.00,26. წინა მიღწევა ამერიკელი ედ მოზესისა იყო. 28 მარტს ოსტინში მოზესმა აშშ-ის ანალოგიურ ტურნირზე რეკორდი სლუდნოვს მოუხსნა (1.00,29). ახლა კი მსოფლიოს უსწრაფესი შედეგი კვლავ რუსისაა.

საინტერესოა, რომ ამერიკელმა და რუსმა მოცურავეებმა ბოლო 15 თვის განმავლობაში სამჯერ იყოჩაღეს. თავდაპირველად რუსმა ისახელა თავი. იგი შარშან, ისევე როგორც ამ ორიოდე დღის წინ, იმავე აუზში, იმავე ასპარეზობის იმავე დისციპლინის ნახევარფინალურ გაცურვისას გამოირჩა (1.00,36).

ბედის ირონიაა თუ რა, ამერიკელი და რუსი მოცურავეები სიდნეის ოლიმპიურ თამაშებზე, შესაბამისად მეორე-მესამე ადგილებზე გავიდნენ. ჩემპიონობა კი ჯერ კიდევ უგვირგვინო იტალიელმა, დომენიკო ფიორავანტიმ მოიპოვა.

„ჩვენ არ ვიცოდით, 100 მეტრზე ბრასით ცურვაში ვისთან მოგვიწევდა პაექრობა. ახლა ნათელია, რომ სლუდნოვი მზადაა საბრძოლველად. მე და იგი ზედიზედ ვამყარებთ მსოფლიოს რეკორდებს, ახლა კი ერთმანეთის პირისპირ წარდგომა გამოავლენს, თუ ვინაა საუკეთესო ჩვენს შორის — განაცხადა ედ მოზესმა და იქვე იტალიელ ფიორავანტიზეც თქვა ერთი-ორი სიტყვა — უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ფიორავანტისაც ვიხილავთ. ასე რომ, სამი ადამიანი გავარკვევთ ურთიერთობას 100 მეტრზე ბრასით ცურვაში. მას შემდეგ, რაც მან ოლიმპიადაზე გააკეთა, იგი უდავოდ ანგარიშგასაწევ ძალად უნდა ჩაითვალოს".

გუშინ კი სლუდნოვმა თავისივე რეკორდი მოხსნა და ისტორიაშიც შევიდა. იგი პირველი ბრასისტია, ვინც 100 მეტრი წუთზე ნაკლებ დროში გაცურა. რუსეთის ჩემპიონატის ფინალი სლუდნოვმა 59,97 წამით მოიგო.

**გიგა გურასპიშვილი**



# F1

**მეათე ეტაპი** საფრანგეთის დიდი პრიზი

## მანი კური

*ნევერი, 1 ივლისი*




**ტრასის სიგრძე** . . . . . . . . . . . . . . . 4.251 კმ
**რბოლის დისტანცია** . . . . . . . . . 72 წრე — 306.072 კმ

*რბოლა დაიწყება ჩვენი დროით 17 საათზე*

**შარშანდელი შედეგები:** 1 კულჰარდი (მაკლარენი); 2 ჰაკინენი (მაკლარენი); 3 ბარიკელო (ფერარი); 4 ვილნევი (BAR); 5 რ. შუმახერი (უილიამსი); 6 ტრული (ჯორდანი)

**წრის რეკორდი:** 1992 — მენსელი (უილიამსი) 1:17.070

### ყველა გამარჯვებული

| | | | |
|---|---|---|---|
| 1950 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | ალფა რომეო |
| 1951 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | ალფა რომეო |
| | ლუიჯი ფაჯიოლი | იტალია | ალფა რომეო |
| 1952 | ალბერტო ასკარი | იტალია | ფერარი |
| 1953 | მაიკლ ჰოტორნი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1954 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | მერსედესი |
| 1956 | პიტერ კოლინსი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1957 | ხუან მანუელ ფანხიო | არგენტინა | მაზერატი |
| 1958 | მაიკლ ჰოტორნი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1959 | ენტონი ბრუქსი | დიდი ბრიტანეთი | ფერარი |
| 1960 | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | კუპერი |
| 1961 | ჯოვანი ბაგეტი | იტალია | ფერარი |
| 1962 | დენ გარნი | აშშ | პორშე |
| 1963 | ჯიმი კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1964 | დენ გარნი | აშშ | ბრებემი |
| 1965 | ჯიმ კლარკი | დიდი ბრიტანეთი | ლოტუსი |
| 1966 | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | ბრებემი |
| 1967 | ჯეკ ბრებემი | ავსტრალია | ბრებემი |
| 1968 | ჟაკი იქსი | ბელგია | ფერარი |
| 1969 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | მატრა |
| 1970 | იოხენ რინდტი | ავსტრია | ლოტუსი |
| 1971 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | ტირელი |
| 1972 | ჯეკი სტიუარტი | დიდი ბრიტანეთი | ტირელი |
| 1973 | რონი პეტერსონი | შვედეთი | ლოტუსი |
| 1974 | რონი პეტერსონი | შვედეთი | ლოტუსი |
| 1975 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | ფერარი |
| 1976 | ჯეიმს ჰანტი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |
| 1977 | მარიო ანდრეტი | აშშ | ლოტუსი |
| 1978 | მარიო ანდრეტი | აშშ | ლოტუსი |
| 1979 | ჟან პიერ ჟაბუი | საფრანგეთი | რენო |
| 1980 | ალან ჯოუნსი | ავსტრალია | უილიამსი |
| 1981 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | რენო |
| 1982 | რენე არნუ | საფრანგეთი | რენო |
| 1983 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | რენო |
| 1984 | ნიკი ლაუდა | ავსტრია | მაკლარენი |
| 1985 | ნელსონ პიკე | ბრაზილია | ბრებემი |
| 1986 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1987 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1988 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1989 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | მაკლარენი |
| 1990 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | ფერარი |
| 1991 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1992 | ნაიჯელ მენსელი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1993 | ალენ პროსტი | საფრანგეთი | უილიამსი |
| 1994 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1995 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ბენეტონი |
| 1996 | დეიმონ ჰილი | დიდი ბრიტანეთი | უილიამსი |
| 1997 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 1998 | მიხაელ შუმახერი | გერმანია | ფერარი |
| 1999 | ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი | გერმანია | ჯორდანი |
| 2000 | დევიდ კულჰარდი | დიდი ბრიტანეთი | მაკლარენი |

# მიხაელის პიუმაიროლზე რალფის სკამი ცარიელი იყო

**საფრანგეთის** დიდი პრიზი პირველივე ჩემპიონატიდან თამაშდება და ნახევარი საუკუნის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ (1955) არ ჩატარდა. ეტაპს შვიდმა(!) ავტოდრომმა უმასპინძლა.

1961 წელს აგებულ და 80-იანი წლების მიწურულს თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისად განახლებულ „მანიკურის" ტრასაზე ხვალ მე-11 რბოლა გაიმართება. ამჟამინდელ მონაწილეთაგან იქ მხოლოდ სამს (მიხაელ შუმახერი, ჰაინც-ჰარალდ ფრენცენი, დევიდ კულჰარდი) გაუმარჯვია. შუმის უმდიდრეს კოლექციაში ოთხი „მანიკურია", კიდევ ერთი პოდიუმი და ჯამში 46 ქულა. მიკა ჰაკინენის მონაგარი ბევრად მწირია: სამი საპრიზო ადგილი და 21 ქულა. შემდეგ მოდიან ფრენცენი (19), კულჰარდი (16), ჟაკ ვილნევი (15), ჟან ალეზი (14), ედი ირვაინი (11), რუბენს ბარიკელო (9), რალფ შუმახერი (6).

მიხაელს ხვალ კარიერაში საიუბილეო, 50-ე გამარჯვების საუკეთესო შანსი აქვს. შეგახსენებთ, 49-ე დიდი პრიზი მან წინა „ევროპულ" ეტაპზე მოიპოვა (აქედან 30 „ფერარისა" და 19 „ბენეტონის" შემადგენლობაში). სხვათა შორის, იმ ბოლო ტრიუმფის აღსანიშნავად სამგზის ჩემპიონმა კარგი სუფრაც გაშალა. წვეულება, რომელსაც მისი მამა, მეუღლე და რამდენიმე მეგობარი დაესწრნენ, გვიან ღამემდე გაგრძელდა. ღონისძიებაზე არ მისულა მიხაელის უმცროსი ძმა რალფი. იგი ძალიან გაანაწყენა იმან, რომ უფროსმა შუმიმ „ნიურბურგრინგზე" რბოლის დასაწყისში მას გზა მკვეთრად მოუჭრა, რის გამოც კინაღამ საავარიო სიტუაცია შეიქმნა. ფინიშის შემდეგ ძმები შელაპარაკდნენ კიდეც. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ფრენკ უილიამსმა რალფთან კონტრაქტი გააგრძელა და გერმანელი პილოტი მის გუნდში 2004 წლის ბოლომდე დარჩება. გასამრჯელო კი, როგორც ამბობენ, გაორმაგებული, წლიური 30 მილიონი მარკა დაუნიშნეს. რაც შეეხება ძმებს შორის კონფლიქტს, მას კულჰარდი შეესწრო, რომელმაც რალფის მხარე დაიჭირა: „თუ თქვენი მოქმედება სხვას აიძულებს, ტრაექტორია მკვეთრად შეცვალოს ან დაამუხრუჭოს, მართალი არ ხართ".

# უიმბლდონი 2001



ლეიტონ ჰიუიტი ტეილორ დენტის დამარცხებას აღნიშნავს

## გორანი გორანს: დავმეგობრდეთ!

**20 წლის** ამერიკელი ტეილორ დენტი ყოველი მატჩის შემდეგ მკლავზე ყინულის ტომსიკებს იდებს და ხშირად რამდენიმე საათს იჩერებს ტკივილის და სიმხურვალის დასაცხრომად. ლეიტონ ჰიუიტთან მისი შეხვედრა რომ გენახათ, იოლად მიხვდებოდით, რატომაც: ზორბა იანკის პირველი მოწოდების საშუალო სიჩქარე სამ საათზე მეტად გაწელილ მატჩში 205 კმ/სთ-ს აღემატებოდა, ერთხელ კი 232-საც გადააჭარბა, რაც უიმბლდონის ყველა დროის რეკორდია.

რაღა გასაკვირია, თუ საჰაერო დაბომბვას უჩვევ ჰიუიტს, წლევანდელი უიმბლდონის ჯერჯერობით საუკეთესო შეხვედრის პირველ ხელში, უფრო მიწისქვეშა თავშესაფარში მიმალვის სურვილი ჰქონოდა, ვიდრე უკანა ხაზებით მის მხარეს გამოგზავნილი ყუმბარების გაუვნებლების. ცნობილი ავსტრალიელი ჩოგბურთელის, ფილ დენტის (უიმბლდონის 1977 წლის მეოთხედფინალში ჯონ მაკინროისთან დამარცხდა) ვაჟიშვილი სულ რაღაც 20 წუთში 5:0 დაწინაურდა.

ჰიუიტის გასახარად, მეორე სეტის დასაწყისში ცამ პირი გახსნა და მოთამაშეები ერთი საათით ცენტრალური კორტიდან გასახდელში გააძევა. იძულებითი შესვენების დროს მწვრთნელ დარენ კეჰილთან საუბრის შემდეგ ოზი უკან გაორკეცებული ენერგიით, უკეთესი სტრატეგიითა და ტყვიაგაუმტარი ჟილეტით დაბრუნდა.

დენტის მოწოდებები წვიმის შემდეგაც ისეთივე სიშმაგით ვარდებოდა თავგადახოტრილი ავსტრალიელის მხარეს, მაგრამ ეს უკანასკნელი უკვე მზად იყო მათთან გასამკლავებლად და უმეტესობას უკან შესაშური სიზუსტითაც აბრუნებდა. ჰიუიტი დაუღლელად დარბოდა, აუღებელ ბურთებს დასდევდა, აბრაგნებს, შემოვლებულებს გამუდმებით მეტოქისთვის მოუხერხებელ წერტილებში სვამდა და ბოლოს და ბოლოს გარეგნობით მარკ ფილიპუსისის ალიკვალი დენტიც ჩაცხრა.

წესით და რიგით, ავსტრალიელის საქმე მეოთხე ხელშივე უნდა მოეთავებინა, მაგრამ 6:5-ზე ორი მატჩ-პოინტი ვერ გამოიყენა, განერვიულებულმა ამას ორმაგი შეცდომები მიაყოლა და მეტოქეს ანგარიში გაათანაბრებინა. შესანიშნავი შესაძლებლობა ხელიდან კი გაუშვა, მაგრამ ჰიუიტმა იმედგაცრუება არ დაიტყო, გადამწყვეტი ხელის დასაწყისშივე აართვა დენტს მოწოდება და ამ მცირე უპირატესობას 1:6, 7:5, 6:3, 6:7 (2:7), 6:3 დასრულებული მატჩის ბოლომდე კბილებით ჩაეჭიდა.

„ბევრს მიაჩნია, რომ თუ მძლავრი მოწოდება გაქვს, უკვე სამშვიდობოზე ხარ, ჩემისთანა ტანით მომცრო ჩოგბურთელებს კი მომავალი არა აქვთ. მე მაგალითს ისეთი კოლეგებიდან ვიღებ, როგორიც თავის დროზე მაიკლ ჩანგი, ახლა ანდრე აგასი არიან, მათი მიღწევები თავდაჯერებით მავსებს. დენტისთანა მეტოქეების წინააღმდეგ მთავარია, მოთმინება იქონიო და მათ ეისებზე არ დაიბოღმო. ადრე თუ გვიან, თუ მიღებაზე ხეირიანად გაირჯები, შანსი აუცილებლად მოგეცემა“ — განაცხადა ჰიუიტმა, რომელიც მატჩის უკანასკნელი გათამაშების შემდეგ მოწყვეტით დაეცა ზურგზე, მერე კი ბურთი მაყურებლებში მოისროლა. კორტიდან ორივე ჩოგბურთელი ოვაციებით გააცილეს.

„ჯერჯერობით სტაბილურობა მაკლია, ელიტის წარმომადგენლებში რომ გავერიო, თუმცა სულ უფრო უკეთ ვთამაშობ. მოვიგებ თუ წავაგებ, მინდა მაყურებლებმა ნახონ, რომ კორტზე ძალლივით ვიბრძოდი. მეოთხე-მეხუთე სეტებში, როდესაც ცენტრალური კორტის ქომაგები ხმის ჩახლეჩამდე ღრიალოდაუმატა თავის მხრივ დენტმა, რომელსაც უკვე რამდენიმე თვეა, მამა აღარ ავარჯიშებს — უკვე შინაც ვკამათობდით ყველაფერზე, ამიტომ ერთ დღეს მითხრა, შვილო, თავიდან მომწყდიო. იმედია, ოდესმე მეც მასავით რიგიანად ვითამაშებ.“

როდესაც მოწოდებებზე მიდგება საქმე, ცაცია გორან ივანიშევიჩი არ ვახსენოთ, როგორ იქნება. 29 წლის ხორვატი წლების მანძილზე ედგა სათავეში ეისების რაოდენობით ATP-ის სიებს და როდესაც შინაგან დემონებს უმკლავდება (რაც ბოლო ხანებში სულ უფრო იშვიათად ხდება), ახლაც ნებისმიერი მეტოქის გამწარება ძალუძს.

გორანის ცაციის სიმწარე მესამე წრეში საკუთარ ტყავზე ამომავალმა ვარსკვლავმა ენდი როდიკმა გამოსცადა. 1998-ის უიმბლდონის ფინალში პიტ სამპრასთან დამარცხების შემდეგ სამწლიან ნოკაუტში მყოფი ივანიშევიჩი, ეტყობა, მხოლოდ წლეულს მოვიდა გონზე და მხრის მძიმე ტრავმის მიუხედავად, თავის უკანასკნელ უიმბლდონზე კარის გაჯახუნება სურს.

29 წლის ხორვატმა მთელ მეორე სეტში საკუთარ მოწოდებაზე ერთადერთი (!) ქულა დათმო, მერე ცოტა სული მოითქვა და ორი მატჩ-პოინტის გაცუდების შემდეგ შეხვედრას მორიგი ეისით დაუსვა წერტილი 7:6 (7:5), 7:5, 3:6, 6:3. მერვედფინალში გასვლის აღსანიშნავად ლონდონელთა ფავორიტმა მაისურა შემოიფხრიწა და კორტს კულტურისტის პოზაში საპატიო წრე დაარტყა.

ივანიშევიჩის თქმით, უიმბლდონზე წარმატებულ ასპარეზობას მისი ორი „მე“-ს შერიგება განაპირობებს: „ახლა ორივე ჭკვიანად იქცევა, ორივე ერთნაირად ფიქრობს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, იმიტომ, რომ თუ ერთი გორანი ლონდონშია და მეორე სადმე სხვა ქალაქში, არაფერი გამომდის. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გადავწყვიტე, ერთად გვემოგზაურა და ისევ დავმეგობრებულიყავით. როდესაც ერთმანეთს აღარ ვეკინკლავებით, მე კარგად ვთამაშობ.“

მეორე წრეში კარლოს მოიას წინააღმდეგ 35, გუშინ კი როდიკთან მოწოდებული 41 ეისი ორზეც რომ გავყოთ, მაინც შთამბეჭდავ შედეგს მივიღებთ, ამიტომ საერთო საქმეში თავისი წვლილით ორივე გორანს შეუძლია, იამაყოს.

ივანიშევიჩის მომდევნო მეტოქე ასევე ცაცია და ასევე ტყვიასავით მოწოდების პატრონი გრეგ რუზეცკი იქნება. ინგლისელმა მესამე წრეში მერვედ განთესილ ხუან კარლოს ფერეროს პირველ უიმბლდონურ კამპანიას გამოუყვანა წირვა 6:1, 6:4, 6:4. უკანა ხაზიდანაც და ბადესთანაც რუზეცკი არაჩვეულებრივად ირჯებოდა, თუმცა საკმარისი იქნება თუ არა ეს ხორვატის ჩასაჩუმებლად, ძნელი სათქმელია — რვა პირად შეხვედრაში გორანი აქამდე მას ერთხელაც დაუმარცხებია.

„ჩემი პირველი მატჩის შემდეგ ცერა თითი ავუწიე ქომაგებს, მეორე წრის შემდეგ — V, გამარჯვების აღსანიშნავად, დღეს სამი თითი სამი მოგებით კმაყოფილებას ნიშნავდა და იმედია, ორშაბათს ამას კიდევ ერთსაც მივუმატებ — აღნიშნა რუზეცკიმ — მიხარია, რომ კიდევ უფრო [illegible] რად მასთან წაგებათა სერიას შევწყვეტ.“

ქალებს შორის უიმბლდონის მესამე წრემ ორი ამომავალი რუსი ვარსკვლავისთვის რადიკალურად განსხვავებული შედეგი მოიტანა. სიდნეის ოლიმპიადის ვერცხლისმედალოსან ელენა დემენტიევას (10) არასოდეს დაუმალავს, რომ ბალახზე თამაში ჭირივით ეზიზღება და გუშინ ეს საქმითაც დაამტკიცა — გერმანელ ანკე ჰუბერთან შეხვედრაში სულ ორი გეიმის მითვლა მოახერხა — 0:6, 2:6.

მსოფლიოს პირველი ჩოგნობის ამბიციებით სავსე 17 წლის ლინა კრასნარუცკაია ბალახის საფარს შედარებით უკეთ მოერგო. წყვილებში თამაშის ოსტატი მწვრთნელის — ლარისა სავჩენკოსგან განსხვავებით, რუსს ბადესთან გარჯაში ინჩი-ბინჩი არ გაეგება, სამაგიეროდ, უკანა ხაზიდან მძლავრი დარტყმებით ბევრს არ ჩამოუვარდება და ამაში მის მიერ 6:3, 6:4 დაჯაბნილი ავსტრიელი ბარბარა შვარციც დამემოწმება.

**ავთანდილ სვანიძე**

### მესამე წრე

| ვაჟები | ქალები |
|---|---|
| **გრეგ რუზეცკი** (ბრიტანეთი) — ხუან კარლოს ფერერო (8, ესპანეთი) 6:1, 6:4, 6:4; **გორან ივანიშევიჩი** (ხორვატია) — ენდი როდიკი (აშშ) 7:6 (7:5), 7:5, 3:6, 6:3; **როჯერ ფედერერი** (15, შვეიცარია) — იონას ბიორკმანი (33, შვედეთი) 7:6 (7:4), 6:3, 7:6 (7:2); **პიტ სამპრასი** (1, აშშ) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:4, 6:4, 7:5; **არნო კლემანი** (13, საფრანგეთი) — რაიმონ სლუიტერი (ჰოლანდია) 6:7 (4:7), 7:6 (9:7), 6:4, 6:4; **ტოდ მარტინი** (23, აშშ) — მაგნუს ლარსონი (შვედეთი) 4:6, 6:0, 6:3, 7:5; **მარატ საფინი** (4, რუსეთი) — დავიდ პრინოზილი (გერმანია) 7:6 (7:1), 6:3, 5:7, 1:6, 6:3; **ტიმ ჰენმანი** (6, ბრიტანეთი) — სხენგ შალკენი (26, ჰოლანდია) 5:7, 6:3, 6:4, 6:2 | **მაგდალენა მალეევა** (12, ბულგარეთი) — ემი ფრეზერი (20, აშშ) 6:3, 6:2; **ლინა კრასნარუცკაია** (რუსეთი) — ბარბარა შვარცი (ავსტრია) 6:3, 6:4; **კონჩიტა მარტინესი** (10, ესპანეთი) — ლილია ოსტერლო (აშშ) 6:2, 6:3; **ანკე ჰუბერი** (18, გერმანია) — ელენა დემენტიევა (10, რუსეთი) 6:0, 6:2; **სანდრინ ტესტიუ** (15, საფრანგეთი) — აი სუგიამა (იაპონია) 6:7 (5:7), 6:2, 6:2; **სერენა უილიამსი** (5, აშშ) — ემანუელა გალიარდი (შვეიცარია) 6:1, 6:2; **ჯენიფერ კაპრიატი** (4, აშშ) — ტატიანა პანოვა (32, რუსეთი) 6:4, 6:4; **ჟიუსტინ ენენი** (8, ბელგია) — ლაიზა რეიმონდი (28, აშშ) 6:4, 7:6 (8:6) |

**მეორე წრე. გადადებული მატჩი**

**ანდრეი სტოლიაროვი** (რუსეთი) — სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) 3:6, 6:7 (3:7), 6:4, 6:3, 12:10

### ტაი-ბრეიკი

## ჩოგბურთი ომია. ომი

**ინგლისელები** იქნებ გამოირჩევიან კიდეც თავაზიანობით, მაგრამ უიმბლდონის კორტებზე ამ ქვეყნის ორი საუკეთესო წარმომადგენლის მატჩების დროს ამისთვის დრო ნაკლებად რჩება.

რამდენიმე წლის წინ ტიმ ჰენმანი პირველი ჩოგბურთელი გახდა ტურნირის ისტორიაში, რომელიც დისკვალიფიკაციით დასაჯეს. მაშინ წყვილების შეხვედრის დროს გამწარებულმა ბრიტმა ბოლმის გადმონთხევა ბურთზე სცადა და ბურთის მიმტან გოგოს ხეთქა მთელი ძალით. (სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ მერე ბოდიში მოიხადა და დაზარალებულს ყვავილები მიართვა).



გრეგ რუზეცკიმ გვერდითა მსაჯები დააფრთხო

მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონი გრეგ რუზეცკი თავის პირველ პროფესიულ ტურნირზე გაცნობილ ბურთის მიმტან გოგონაზეა დაქორწინებული, ამიტომ სამიზნეში ძირითადად გვერდით მსაჯებს იღებს ხოლმე. მეორე წრის შეხვედრაში გრეგმა ერთ მათგანს ისეთი ძალით გაარტყა მოწოდება, ამ უკანასკნელს კორტის დატოვება და ექიმის ძებნა მოუხდა.

„რას იზამ, მსაჯობა სახიფათო პროფესიაა — სინდისის ქენჯნა სულაც არ განუცდია რუზეცკის — დარწმუნებული ვარ, არაფერი უჭირს, ეს ხომ ჩოგბურთის ბურთია. აი, კრიკეტის ბურთი რომ ყოფილიყო, მაშინ მის ადგილზე ყოფნას ნამდვილად არ ვისურვებდი. ისე, განზრახ კი არ გამირტყამს“.

## პისტოლ პიტი — ფავორიტი

**მეორე** წრეში ყველასათვის უცნობ ინგლისელ ბერი კოუენთან არცთუ შთამბეჭდავი თამაშის მიუხედავად, ინგლისელი ბუკმეიკერები მაინც ენდობიან პიტ სამპრასს. „უილიამ ჰილის“ აზრით, უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონი ამერიკელი გამარჯვების უპირველეს ფავორიტად რჩება და მასზე ფსონები 2:1-თან მიიღება.

ძლიერი სქესის წარმომადგენლებს შორის „პისტოლ პიტის“ შემდეგ ყველაზე მეტად ანდრე აგასის შანსები ფასობს (9:2). მას უკან მოჰყვებიან ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტი (5:1), ტიმ ჰენმანი (8:1), შარშანდელი ფინალისტი პატრიკ რაფტერი (10:1) და მასპინძელი [illegible] რუზეცკი (14:1). [illegible] როლან გაროსის ჩემპიონი ჯენიფერ კაპრიატი (9:4), უმცროსი უილიამსი — სერენა (4:1) და ამერიკელი ლინდსი დევენპორტი (9:2).

## სარბენი ბილიკიდან სამეფო ლოჟაში

**ცენტრალური** კორტის ე. წ. სამეფო ლოჟა მხოლოდ ცისფერსისხლიანი არისტოკრატებისთვის როდია გათვალისწინებული, იქ ხშირად ინგლისელ თუ ამერიკელ კინოსა და პოპვარსკვლავებსაც იხილავთ. ოთხშაბათს კი იქ 400 მეტრზე სირბილში სიდნეის ოლიმპიური ჩემპიონი, მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული მძლეოსანი ქალი კეტი ფრიმენიც მოკალათდა.

„ეს ჩემი მესამე ვიზიტია უიმბლდონზე. ამას წინათ პატრიკ რაფტერის მატჩზე ვიყავი და სკამიდან გადმოვარდი. იმ უსიამოვნებას თუ არ ჩავთვლით, თანამემამულის ქომაგობა ფრიად სასიამოვნო იყო — იხსენებს აბორიგენი ავსტრალიელი, რომელიც უკვე ერთი წელია, სპორტისგან ისვენებს — ბავშვობაში თითქმის ყველა მატჩს ვუყურებდი ტელევიზორში, „ოლ ინგლენდ კლაბი“ მუზეუმისა და დროის მანქანის ნაჯვარია“.

ფრიმენი ზაფხულში ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატს გამოტოვებს და ვარჯიშს მხოლოდ ნოემბერში განაახლებს, მანამდე კი ის პეკინის მხარდასაჭერ კამპანიაში მონაწილეობს. ჩინეთის დედაქალაქს 2008 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობა სურს, ფრიმენის დიდი ბაბუა კი ჩინელი ყოფილა.

„ვფიქრობ, ეს ქვეყანაში ადამიანის უფლებათა მდგომარეობასაც გააუმჯობესებს. საოცარია, ოლიმპიადის დროს როგორ ივიწყებენ ადამიანები ერთმანეთს შორის განსხვავებას, კანის ფერსა და რასას მნიშვნელობა აღარ ენიჭება. მსოფლიოს ყველაზე ხალხმრავალი ქვეყანა აუცილებლად იმსახურებს მასპინძლობის უფლებას“.

## მადლი ჰქენი...

**უიმბლდონის** 1999 წლის ჩემპიონი წყვილებში — კორინა მორარიუ ცოტათი უკეთ გრძნობს თავს. 23 წლის ამერიკელს ექიმებმა სასიხარულო ამბავი აცნობეს: ლეიკემიის იშვიათმა და მძიმე ფორმამ, რომელიც ჩოგბურთელს ერთი თვის წინ აღმოუჩინეს, უკან დაიხია.

„სრულ გამოჯანმრთელობამდე ჯერ კიდევ დიდი გზაა გასავლელი, წინ ქიმიოთერაპიის ორი კურსი მელის — განაცხადა წყვილებში მსოფლიოს ყოფილმა პირველმა ჩოგანმა ტელეარხ TNT-თან ინტერვიუში — ყველას ჰგონია, რომ ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე სპორტსმენს არაფერი დაემართება, ამიტომაც ჩემმა მაგალითმა ბევრი შეაშინა. როდესაც დიაგნოზი მითხრეს, ვერ ვიჯერებდი. სულ რამდენიმე დღით ადრე სრულიად ჯანმრთელად ვგრძნობდი თავს და ექიმებთან მხოლოდ იმიტომ მივედი, რომ სუნთქვა გამიძნელდა“.

მორარიუ კოლეგებისგან უდიდეს მხარდაჭერას გრძნობს. როლან გაროსზე გამარჯვება ჯენიფერ კაპრიატიმ სწორედ მას მიუძღვნა, მანამდე კი კამერების წინ პლაკატიც გამოფინა წარწერით: „მალე გამოჯანმრთელდი, კორინა“.

„არც კი ვიცი, სიტყვებით როგორ გამოვთქვა ჩემი მადლიერება. ჯენიფერის თანაგრძნობა ძალიან ბევრს ნიშნავდა ჩემთვის, ნახევარი საათი ხმა ვერ ამოვიღე. ყველა კოლეგა მენატრება, ბევრი მირეკავს და ელექტროფოსტით წერილებს მწერს — აღნიშნა მორარიუმ — ამჟამად დამოუკიდებლად ვახერხებ მაღაზიებში ან სადმე სასადილოდ წასვლას. ჩემს გამოჯანმრთელებაში კეთილისმსურველებმაც დიდი წილი შეიტანეს“.

**ავთანდილ სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს ბრისბენში

დღეს ბრისბენის კრიკეტ გრაუნდზე დიდი რაგბია, დიდი სერია, დიდი შეხლაა: ბრიტანელი ლომები მსოფლიოს ჩემპიონ ვოლაბებს სამტესტა შეყრის პირველ თამაშში შეებმებიან. ავსტრალიელები კოფს ჰარბორში ვარჯიშობენ და ფოტოგრაფებსაც არ წყვეტენ გულს. გუნდური ფოტოს გადაღების წინ, ერთ-ერთ ვოლაბს, ჯო როფს კვერცხა ბურთით კენწლვაც კი გაუმართავს, რაც იოლი საქმე სულაც არ არის და მთელი გუნდიც ამიტომ მისჩერებია. ბრიტები კი კრიკეტ გრაუნდის მინდორს ამოწმებენ: ლომთა კაპიტანი მარტინ ჯონსონი და ლომთა დაცვის მწვრთნელი ფილ ლაკარდელი დიდი დაკვირვებით სინჯავენ ბალახს.



REUTERS კოფს ჰარბორიდან



REUTERS კოფს ჰარბორიდან

# კვიცი გვარზე




REUTERS ბრაზილიიდან

ფორმულის სამგზის ჩემპიონი, ბრაზილიელი ნელსონ პიკე მისივე კუთვნილი ფორმულა 3-ის გუნდის ბოლიდს ათვალიერებს. გვერდით რომ 15 წლის ბიჭი უდგას, ალი-კვალი მამამისია. ნელსინიო პიკე უკვე ბრაზილიის სამგზის ჩემპიონია კარტინგში და თექვსმეტი წლისა როგორც კი შეიქნება, შუა სეზონიდანვე ჩაერთვება ფორმულა 3-ის შეჯიბრში. ეს ბოლიდიც მისია.



REUTERS ლონდონიდან

# წვიმის შემდეგ

უიმბლდონზე სამ დღეს მზე ისე აჭერდა, რომ ხალხს გული მისდიოდა. ახლა კი, წესისამებრ წვიმამ წამოუშინა, სამ ავსტრალიელ ქომაგს კორტის სიცარიელე ვერ აუტანია, წინასწარ გამზადებული წვერ-ულვაში და სამოსი მოურგია, აქაოდა ჩოგბურთის მოგვები ვართ და ღმერთს დარს შევთხოვთო. მათი დამსახურება ნაღდად არ იყო, მაგრამ მართლაც იდარა და კორტებზე თამაშები გახურდა. აგე, ვინ იბრძვის მხარდამხარ წყვილთა შეჯიბრებაში: ორი ვეტერანი, ორი ლეგენდა, ორი მთელი ამბავი — არანჩა სანჩესი და დიაზ, მარტინა ნავრატილოვა. ბებიებმა იტალიელი ჯულია კასონი და იუგოსლავი სანდრა ნაცუკი გაანადგურეს — 6:0, 6:1



REUTERS ლონდონიდან

# დიდ ტბებზე

კანადაში, დიდი ტბების რაიონში ძველებური გემები ეჯიბრებიან ერთმანეთს. იქაურ ქალაქ კინგსტონში ახლა დიდი გამოცოცხლებაა, ზაფხულის თვეებში დიდი ზეიმია ხოლმე კანადაში. საერთოდ კი მაღალანძიან გემ-ნავთა შეჯიბრი მთელწლიანი ჩემპიონატია ამერიკისა და კანადის ტბებზე. ფოტო კი სამხრეთული იერისაა: „ამარა ზის" ეკიპაჟის წევრი ჰეიდი ბატონი კანადის დროშას აფრიალებს. ონტარიოზე ზაფხულია.



REUTERS კინგსტონიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge